



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა კ ბ 6 3  
PROCEEDINGS  
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია  
ECONOMIC SERIES  
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



გ(7)80  
volume  
том

1999 N1-2

7

თბილისი \* TBILISI \* ТБИЛИСИ

## სარედაქციო კოლეგია

გ. ბაბავა (მთავარი რედაქტორი), ა. ადვაძე, [გ. ადეშვილი], თ. ბერიძე,  
ქ. გომირგაძე, ა. გურატაშვილი, ა. მებხაძე, ნ. ბაიგაძე, რ. მოძაშვილი,  
ა. ხელიგაძე, თ. ნიკოლაძე, ლ. ჩიკავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის  
მოადგილე), გ. ჯაბუტი

პასუხისმგებელი მდივანი ა. დემირხანოვა

### EDITORIAL BOARD

V. Papava (Editor-in-Chief), V. Advadze, [G. Adeishvili], T. Beridze, L. Chikava,  
T. Chikvaidze, M. Djibuti, H. Giorgadze, A. Kurataashvili, Y. Meskhia,  
R. Mitaishvili, N. Paichadze, A. Silagadze, G. Tsereteli (Deputy Editor-in -Chief)

Executive Secretari I. Demirkhanova

### РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В. Г. Папава (главный редактор), В. С. Адвадзе, [Г. Г. Адеишвили],  
Т. А. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, М. Ч. Джибути, А. А. Кураташвили,  
Я. Е. Месхия, Р. А. Митайшвили, Н. Н. Пайчадзе, А. Н. Силагадзе,  
Г. Ш. Церетели (зам. главного редактора), Л. А. Чикава,  
Т. Н. Чиквандзе

Ответственный секретарь И.С.Демирханова

380007, თბილისი, ქიქოძის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ქ. გურატაშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი  
ტელ. 99-68-53, 99-74-09, ფაქსი: 99-83-89

P.Gugushvili Institute  
of Economics, The Georgian  
Academy of Sciences,  
14, Kikodze street,  
Tbilisi, 380007,  
Georgia  
tel: (8832) 998-389

Грузия  
380007, Тбилиси  
ул. Кикодзе, 14  
Институт Экономики  
им. П.Гугушвили АН Грузии  
тел. (8832)99-68-53, 99-74-09  
факс (8832)99-83-89

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა კ უ ბ ი  
PROCEEDINGS  
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია  
ECONOMIC SERIES  
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომ 7 N 1-2

volume 7 N 1-2

том 7 N 1-2

ეურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში  
The journal is established in October, 1992  
Журнал основан в октябре 1992 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ  
The journal is published 4 times a year  
Выходит 4 раза в год

თბილისი "მეცნიერება"  
TBILISI "METSNIEREBA"  
ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕБА"  
1999

(42)

## შინაარსი

წერეთელი გიორგი, ნათელაური იზა	
თავისუფალი ეკონომიკური ზონები და მათი შექმნის შესაძლებლობები საქართველოში	3
მაღლადეკლიანური თამაზი	
გადასახადების სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობა	14
კურატაშვილი ალექსანდრე	
მომავალი - კეშმარიტად ადამიანური - საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური თეორია	28
წერეთელი გიორგი	
სახნავ-სათესი მიწების ეფექტური გამოყენების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების ერთი ამოცანის შესახებ	40
ანანიაშვილი იური	
სამუალოწლიური ზრდის ტემპებისა და დარგთაშორისი პროპორციების პროგნოზირების უკურექურსიანი მოდელის ორი ვარიანტი	45
წესები ავტორთათვის	63

## CONTENTS

<b>Tsereteli George, Natelauri Iza</b>	
Free Economic Zones and Possibilities of their Creation in Georgia	3
<b>Maglakelidze Tamaz</b>	
The National Importance of Taxes	14
<b>Kuratashvili Alfred</b>	
Social-Economic Theory of the Future Truly Human Society	28
<b>Tsereteli George</b>	
A Problem of Economic-Mathematical Modelling of Efficient Use of Arable Lands	40
<b>Ananiashvili Iuri</b>	
Two Variants of the Back-Recursive Model of Forecasting of an Average Annual Growth Rates and Intersectoral Proportions	45
Instruction to Authors	63

## СОДЕРЖАНИЕ

<b>Церетели Георгий, Нателаури Иза</b>	
Свободные экономические зоны и возможности их создания в Грузии	3
<b>Маглакелидзе Тамаз</b>	
Государственное значение налогов	14
<b>Кураташвили Альфред</b>	
Социально-экономическая теория будущего - истинно человеческого общества	28
<b>Церетели Георгий</b>	
Об одной задаче экономико-математического моделирования эффективного использования пахотно-посевных земель	40
<b>Ананиашвили Юрий</b>	
Два варианта обратнорекурсивной модели прогнозирования среднегодовых темпов роста и межотраслевых пропорций	45
Правила для авторов	63

# თავისუფალი ეპონომიკური ზონები და მათი შემთხვევაში უსაპლებლობები საქართველოში

წერეთული გიორგი, ნათელაური ისა  
380007, თბილისი, ქიქოძის 14  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
პ. გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტი  
შემოვიდა 1998 წლის 17 ივნისს

**რეზონა:** ნაშრომში განხილულია თავისუფალი ეკონომიკური სონქტის შექმნისა და უუნქციონირების სოციალურობის გაუსრია ასპექტები. მასში დაღუპენილია ასეთი ზონების. შექმნისა და უუნქციონირების რეჟიმის პირობები, შესწავლილია ზონების მრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, საგარეო-ეკონომიკური და საკუთრებითი ურთიერთობების ამსახველი და სხვა საკითხები, გაანალიზებულია თავისუფალი ეკონომიკური ზონების მსოფლიოში გამოყენებული მოღელების ტიპიური სახეობები, განზოგადობულია თავისუფალი ეკონომიკური ზონების გამოცდილება განვითარებული კაპიტალისტური, სოციალისტური და პატარა განვითარებადი ქვეყნების მონაცემებზე დაყრდნობით. გამოკედებულია თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, მემორანულებულია სათანადო რეკომენდაციები ასეთი ზონების ჩვენი ქვეყნის. ტერიტორიაზე ფორმირების შესახებ.

\* \* \*

პისტურუნისტურ ქვეყნებში, ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და მისი ფორსირებული განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვნად ხელშემწყობლებულობა წარმოადგენს მათ ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების ("თებ")<sup>1</sup> შექმნა. ამ უკანასკნელის ფორმირებისა და ეფუძნებინი ფინანსურირების საკითხი მეტად აქტუალური ხდება აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკის განვითარების თანამდებოვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, როცა საწარმოების უმეტესობა განერებულია და ეკონომიკური "რეგულირები" ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა შეშუროებას იწვევს და ა.შ.

თავისუფალი. (სპეციალური) ეკონომიკური ზონა<sup>1</sup> წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სპეციფიკურ ფორმას განსაზღვრულ ტერიტორიაზე (პორტი, ქალაქი, რაიონი და ა.შ.) და განსაკუთრებულ რეჟიმში.

ამა თუ იმ განვითარებად ქეყანაში "თებ" -ების ჩამოყალიბება და უუნქციონირება ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების

<sup>1</sup> თავისუფალი ეკონომიკური ზონა იგივეა, რაც სპეციალური ეკონომიკური ზონა. ამ ცნებების ქვეშ გაულისხმობთ ერთსა და იმავე შინაარსს.



წარმოების განვითარება-გაუაროოებას, .საწარმოო შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციას ამ ქვეყნის განსაზღვრულ ტერიტორიებზე. იგი ხელს უწყობს, აგრეთვე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას; ადგილობრივი ინვესტორების საქმიან თანამშრომლობას უცხოელებთან; საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის განვითარებას, მოწინავე გამოცდილების აპრობაციას; უცხოური ტექნიკის იმპორტს უელავათიან პირობებში, მხოლოდი ბაზრებიან მიახლოების პროცესს და სხვა.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს ახასიათებს ფორმათა მრავალუროვნება. კაპიტალისტურ ქვეყნებში უმეტესად იქმნება თავისუფალი საბაჟო და ტრანზიტული ზონები და პორტები, განვითარებად ქვეყნებში – საექსპორტო ზონები, ხოლო სოციალისტურ ქვეყნებში კი – შერეული ხასიათის ზონები. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათთვის საეციალისტებმა თავის დროზე სამსჯავროზე გამოიტანეს სამი ტიპის ზონა [5]:

1. საგარეო გაქტობის (თავისუფალი წაბაჟო ზონები და პორტები, საექსპორტო წარმოების ზონები და ტრანზიტული ზონები);
2. უნიკიტონალური ანუ დარგობრივი (ტურისტული, სადაზღვევო, საბანკო ზონები, ტექნოპარკები და ტექნოპოლისები);
3. კომპლექსური, საწარმოო ხასიათის.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის თითოეულ ფორმას შეუძლია შეასრულოს განსხვავებული სახალხომურნეობრივი და საგარეო ეკონომიკური უუნქცია. კერძოდ, მათი საშუალებით შეიძლება ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა:

–ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა;

–სამამულო და საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწვევა-ბის დანერგვის აქტივიზაცია;

–საექსპორტო ბაზის განვითარება და საგალუტო შემოსავლების ზრდა;

–შეიგა ბაზრის უზრუნველყოფა საქონლითა და მომსახურებით.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათი შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემას. “თეზ”-ები, ძირითადად, უნდა დაკომპლექტდეს მის და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები შრომითი რესურსებით. ზოგჯერ შესაძლებელია ამ რესურსების მოზიდვა დამუშავებელი ქვეყნის სხვა რეგიონებიდანაც (საზღვარგარეთიდან). მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ამ დროს, როგორც ადგილობრივ, ისე მოწევულ მოქალაქეებთან გაუირმებულ უნდა იქნეს შრომითი ხელშეკრულება. შრომის ანაზღაურება შესაძლებელი უნდა იყოს არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოურ ვალუტაშიც. ამასთან, ადგილობრივ მუშამრისამსახურებს უნდა შეეძლოთ უცხოური ვალუტის საკუთარი შეხედულებისამებრ შენახვა და გამოყენება, ხოლო უცხოელ მოქალაქეებს კი უნდა გააჩნდეთ საკუთარი შემოსავლების საზღვარგარეთ გატანის გარანტია.

რაც შეეხება მატერიალური რესურსებით მომართვებას და წარმოების შედეგების რეალიზაციას, მათი რეგულირება ზონაში უნდა ხდებოდეს, ლიცენზიების საშუალებით, სახელშეკრულებო სისტემის საფუძველზე. ხელშეკრულებები უნდა ფორმდებოდეს სახელმწიფოსთან, მართვის რეგიონულ და აღილობრივ ორგანოებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან და ზონის გარეთ მყოფ სხვა სუბიექტებთან. მა დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მომარაგებისა. და გასაღების სტაბილურობის საკითხს, თანაც პრეფერენციალურ რეჟიმში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის საკენძო საკითხს წარმოადგენს უასწარმოქმნა და მასთან დაკავშირებული საკალუტო მექანიზმის შექმნა. საკალუტო მექანიზმა უნდა უზრუნველყოს საზღვარგარეთიდან კაპიტალის მოსიღვის სტაბილირება, თანამშრომლობის ჩირობები შეიცავ და საგარეო ბაზარზე ხავალუტო რეჟიმი უვალდა ზონისათვის, როგორც წეს, ინდიუდუალურია, ზონის თავისუბერებებიდან და პონქუეტული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ზონას ესაჭიროება საკუთარი უულადი ერთვალი დასაშეებია რამდენიმე ზონისათვის ერთი და იგივე უულადი ერთვალით სარგებლობა (ბუნებრივია იგულისხმება - ერთი ქვეყნის ზონები). მართალია „თეზ“-ი - უნდა ფუნქციონირებდეს საკალუტო თეორებამოსილების პრინციპის დაცვით, მაგრამ ამ არის გამორიცხული დასაწყისში მას დახსროდეს ასიგნებები ქვეყნის საკალუტო სახსრებიდან სოციალური ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონას უნდა მართავდეს ზონის აღმინისტრაცია, საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭოსთან და სპეციალურ კორპორაციასთან ერთად.

საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭო და კორპორაცია უნდა წყვეტდნენ ზონის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანების ხაյითხებს. საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭომ უნდა მოამზადოს წინადაღებები ერთობლივი საწარმოების შექმნის თაობაზე და განსახილებულად წარუდგინოს ზონის აღმინისტრაციას. მან უნდა შეიმზადოს წინადაღებები ზონის ინფრასტრუქტურაზე, მისი დაფინანსების წარმოებზე და ა.შ.

კონკრეტული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა კი უნდა დაევალოს სპეციალურ კორპორაციას.

ზონის ტერიტორიაზე, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას ბანკები, დაზღვევებისა და დაკრედიტების დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები, რომელია ხელმძღვანელებიც უნდა იყენოს საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭოსა და სპეციალური კორპორაციის წევრები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის განსაკუთრებულ ჭურადღებას მოიხსევს:

- ტერიტორიის შერჩევის საკითხი. პოლონელი სპეციალისტების აზრით, მათ ტერიტორიაზე, საქასპორტო-სამრეწველო ზონას უნდა მკაფიოს 40 ჰა ფართობი. ბულგარეთში „თეზ“-ების ფართობი 100 ჰა

დან - 800 ჰა-მდე მერეულის. ჩინეთში "თეზ"-ებზე მოდის 15 კვ-მ-დან  
327 კვ-მ. [2, გვ. 12].

-მეურნეობის ახალი ფორმების დანერგვა ლოკალურ  
ტერიტორიაზე;

•სპეციალისტების მომზადება.

"თეზ"-ებს საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროში,  
ხშირად ესაჭიროება ეკონომიკურად შეღავათიანი პირობები - საბაკო  
გადასახატებიდან განთავისუფლება, გადასახადების დიფერენცირება,  
ძირითადი ფონდების ამორტიზაციის შემცირებული ვადების  
დაწესება, დაკრედიტებისა და დაზღვევის შეღავათიანი პირობები,  
პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის პროცედურის გამარტივება,  
უცხოელების ზონაში შემოსვლის შეუზღუდაობა (უკიდურეს  
შემთხვევაში გაადვილება), ზონის აღმინისტრაციისათვის მეტი  
თავისუფლების მინიჭება და ა.შ.

გადაწყვეტილება თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის  
შესახებ (სხვა თანაბარ პირობებში) მისაღები უნდა იყოს მხოლოდ  
საკითხის დეტალურად და კომპლექსურად შესწავლის შემდეგ. ამ  
დროს, არსებობით ორლი უნდა შეასრულოს მოსახლეობამ და მართვის  
რეგიონულმა ორგანოებმა, ქაჯნის ხელისუფლების უმაღლეს  
ორგანოებთან ერთად.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისას აუცილებელია, რომ  
ცალსახად განისაზღვროს "თეზ"-ების არსებობაზე პასუხისმგებელი  
ორგანო, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას საერთო  
სახელმწიფო ეკონომიკის მნიშვნელობის ზონების შექმნის შესახებ და  
განსაზღვრავს რეგიონული და უწყებრივი მნიშვნელობის ზონების  
შექმნის და უცნებელონირების იურიდიულ მხარეს, უფრო ზუსტად  
გარეულ წესებს დაუქემდებარებს რეგიონული და უწყებრივი  
ზონების შექმნისა და უცნებელონირების პროცედურას.

"თეზ"-ები იქმნება რა განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც  
ცხოვრობს სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის  
მოსახლეობა და სადაც თავმოყრილია ბუნებრივი რესურსები,  
თავიანთი უცნებიონირებით, გარეაულ სარგებელთან ერთად,  
აზიანებენ ბუნებას (წყალს, ჰაერს, ფლორას, ფაუნას და ა.შ.). ამიტომ,  
ასეთ შემთხვევაში, ბუნებას ესაჭიროება სპეციალური დაცვა. "თეზ"-  
ები საშუალებას იძლევა დასაქმდეს შრომითი რესურსები, ათენისებულ  
და. უსეიუსად გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი რესურსები,  
დაუნიანსდეს სოციალურ-ეკონომიკური და კოოპორაციური პროგრამები  
და სხვა.

ზონის მოთხოვნა, ადგილობრივ შრომით რესურსებზე, მიწაზე,  
წყალზე, ბუნებრივ რესურსებზე და ა.შ. საჭიროებს მმართველობითი  
იერარქიის სხვადასხვა დონის (მმართველობის უმაღლესი ორგანო,  
რეგიონული მმართველობის ორგანოები, უწყებრივი ორგანოები)  
სტატუსის დაგენას. განასხვაებენ უფლება-მოსილებათა სამ  
ფორმას: "შეთანხმება", "ნებართვა" და "საკითხის წინასწარი  
განხილვა".

პირველ შემთხვევაში, იქრარქიის მაღალ და დაბალ დონეებს შორის ხდება შეთანხმება, მეორე შემთხვევაში, მაღალი დონე დაბალისაგან თხოულობს ნებართვას, მესამე შემთხვევაში, მაღალი დონე დაბალ დონეს უბრალოდ საქმის კურსში აყენებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

თეორიულად არსებობს “თეზ”-ბის შექმნის ორი გზა: ახალი ზონის შექმნა და არსებულის რეორგანიზაცია (გაერთიანება ან მიერთება და გაყოფა ან გამოყოფა). გაერთიანებაში იგულისხმება მინიმუმ ორი ზონის გაერთიანება, როცა ახალი ზონა იძენს სტატუსს, გაერთიანებული ზონები კი მას კარგავენ. მიერთებაში იგულისხმება ერთი ზონისათვის მეორის მიერთება ისე რომ პირველის სტატუსი ძალაში რჩება, ხოლო მეორე მას კარგავს. გაყოფაში იგულისხმება ერთი ზონის ადგილზე მინიმუმ ორი ზონის შექმნა. ძველი კარგავს სტატუსს, ახლები კი მას შეიძენა—გამოყოფის დროს ერთ ზონას გამოყოფა მეორე პირველი თავის სტატუსს ინარჩუნებს, მეორე კი სტატუსს შეიძენს.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილ პროცედურებში სამართლებრივი ოჯალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია გაყოფა და გამოყოფა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქს ქონების, უფლებებისა და მოვალეობების გაყოფა-გადანაწილებასთან. კანონით უნდა იყოს განსაზღვრული გაყოფა-გამოყოფის შესახებ აქტის დამტკიცების წესი, რათა თავიდან იქნეს აცილებული უწესრიგობები, მათ შორის სამეურნეოც. უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის ვადად უნდა ჩაითვალოს აქტის სისწორის დამტკიცების თარიღი.

“თეზ”-ების ლიკვიდაციის წესი მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით. მას უნდა ახორციელებდეს სპეციალური კომიტეტის ური თრგანო, სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად. სალიკვიდაციო კომისიის ამოცანები და ლიკვიდაციის ვადები დადგენილი უნდა იყოს კანონით.

“თეზ”-ების უზნეციონირების საკანონმდებლო ნაწილში ორი მომენტია აუცილებლად გასათვალისწინებული. პირველი, “თეზ”-ების მრავთეულობითი სტრუქტურების მოწყობა და მეორე, საკადრო პოლიტიკა. ეს უნდა მართავდეს “თეზ”-ს? როგორ უნდა გადანაწილდეს უზნეციები “თეზ”-ის ხელმძღვანელობას, ადგილობრივ მმართველობას და ქვეყნის ხელმძღვანელობას შორის? როგორც ზემოთ აღნიშნეთ “თეზ”-ს . მართავს ადმინისტრაცია, საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭო და სპეციალური კორპორაცია. ჩვენი აზრით, ამ სტრუქტურებში კანონით უნდა იყოს გამაგრებული ადგილობრივი კადრების წარმომადგენლობითი მხარე და უფლებამოსილება. ადგილობრივი ადმინისტრაცია (მხარის, ქალაქის, რაიონის) გალდებული და უფლებამოსილი უნდა იყოს: დაიცვას და გააკონტროლოს ზონაში სამეურნეო და ხევა ქმედებათა კანონიერება, შეასრულოს შუამავლის როლი ქვეყნის ხელის-უფლებასა და ზონის ადმინისტრაციას შორის, მონაწილეობა მიზონს და ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევის გარეშე გამოიყონს შემოსავლების. საკუთარი წილი და ხევა. ამ საკითხების

დარეგულირება მიზანშეწონილია განხორციელდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საშუალებით.

კანონი “თავისუფალი ექონომიკური ზონების შესახებ” სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი ქვეყანაში მოქმედ კანონთა პაკეტთან. (იგი უნდა გამომდინარეობდეს მისგან და ავსებდეს მას). პროცედურულად კი ამ კანონის მიღება აუცილებელია განხორციელდეს ქვეყნისათვის სასიცოცხლო კანონთა ამოქმედება-აპრობაციის შემდეგ.

ნებისმიერი სახის თავისუფალ გეონომიკურ ზონაში, მიუხედვევად მისი მიზნებისა და უუნქციებისა, განსაკუთრებული ადგილი უნდა პქონდეს მიზნეული მართვის ორგანიზაციელ სტრუქტურას. მართვის სტრუქტურის საეცივიკას განსაზღვრავს ზონის ნაირსახეობა, ტერიტორიის სიდიდური ტერიტორიულად ზონა შეიძლება დამტხვეს რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულსაც. ამ შემთხვევაში, ზონის მართვის უუნქციები უნდა შეასრულოს ხელისუფლების ადგილობრივად თრგანოებმა. ამ დროს ჭირის ადმინისტრაცია უნდა დაკომპლექტდეს მართვის ადგილობრივი ორგანოებით. ზონის ადმინისტრატორის უუნქციებს უნდა ასრულებდეს მართვის ადგილობრივი ორგანოების პირველი ხელმძღვანელი. რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს, მათ დაცვას ზონის ტერიტორიაზე, უნდა ახორციელდებოდეს სახელმწიფო შესაბამისი კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

თავისუფალი ექონომიკური ზონების შექმნისა და უუნქციონირების დროს, გარდა აღნიშნულისა, საკუთიურად უნდა დარეგულირდეს, საკუთრებითი და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, საბაჟო მოწყობის, დაბეგერის და სხვა მრავალი ეკონომიკური საკითხი.

ახლა მოქმედ შეეხეოთ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მსოფლიო გამოცდილების საკითხს.

მსოფლიოში დღისათვის 1000-ზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონაა. პირველი ასეთი ზონა შეიქმნა ირლანდიაში 1959 წელს, შემდეგ ამერიკის, ეკროპისა და აზიის ქვეყნების ათობით რეგიონში, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

რაოდენობრივად ყველაზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური (თავისუფალი ვაჭრობის) ზონა უუნქციონირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ქვეყანაში მათი რიცხვი შეადგენს სამასზე მეტს. 1975 წლამდე აშშ-ში მხოლოდ 19 თავისუფალი ვაჭრობის ზონა იყო და მომდევნო 2 წლის მანძილზე შეიქმნა დანარჩენი 281 ზონაც.

ცნობილია, რომ, პრაქტიკულად, თავისუფალი ვაჭრობის ზონებში წარმოებული პროდუქციის 90% მოიხმარება ქვეყნის შიგნით, ხოლო 10% კი ექსპორტირდება. ზონის პროდუცენტების საქმიანობისადმი დიდ ინტერესს იჩენს მეტალურგიული წარმოების კომპანიები, აცხადებენ რა, რომ ზონების ისინი იყენებენ უოლადისა და უოლადის ნაკონიბათა იმპორტისათვის შემცირებული საბაჟო გადასახადით. პროდუცენტებს წარმოადგენენ ძირითადად ავტომობილებისა და მისი სათადარიგო ნაწილების მწარმოებლები. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონების უმეტესობა სპეციალიზებულია ავტომობილების, სათადარიგო ნაწილებისა და კვანძების წარმოებაზე.

თავისუფალი და სამართლიანი გაჭრობის წახალისების გზით ამჟრიკაში არსებული ზონები ემსახურება ამ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას და დასაქმების ზრდას.

გამორჩეული დადგებითი როლი, თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა ითამაშა ჩინეთში. მათი რიცხვი ამ ქვეყანაში თავიდანვე იყო ხუთი - შენჩენი, ჩუკია, შანბოუ, სიამენი და ხაინანი. პირველი სპეციალური ეკონომიკური ზონა შეიქმნა 1979 წელს 1985 წლიდან კი ჩინეთი ახორციელებს დია ეკონომიკურ პრელიკიას. სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში გამოყენებულ იქნა ჩინური ეროვნების უცხოური პოტენციალი. ზონები განლაგდენ ისეთ რაიონებში, რომლებიც ტერიტორიულად ესაზღვრებოდნენ სინგაპურს, ჰონკონგს, მაკაოს, ტაივანს, კორეას, ინდონეზიას, რადგან მოსახლეობას ნათებაური კაეშირი ჰქონდა ჩინურ ემიგრაციასთან. ეკონომიკური რეფორმის პირველი დღეებიდანაც, ჩინეთში, ზონები ითვლებოდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტილიზირების ძირითად საშალებად. მათენ მიემართებოდა სახელმწიფო ინექსტიციების და კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი. ზონებში ხდებოდა სამეურნეო მეთოდების აპრობაცია, მხოლოდ ბაზართან მიახლოვების მიზნით. სპეციალური ეკონომიკური ზონების ეფექტიან ფუნქციონირებას ხელს უწყობდა სახელმწიფო ინტერესების შეთანაწყობა უცხოური კაპიტალის ინტერესებთან (სახელმწიფო სწორედ ამ გზით ახდენდა ზონების საექსპორტო საქმიანობის სტილიზირებას). სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნას ჩინეთში მოჰყვა, როგორც პოზიციური, ისე ნეგატიური ცვლილებებიც.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების დადგებითი ეფექტები თვალშისაცმია, როგორც ტერიტორიულად დიდ, ისე პატარა ქვეყნებშიც. მაგალითად მავრიკია<sup>2</sup> - უართობით 2045 კვემა მოსახლეობით მილიონზე ნაკლები, შალის ნაკოთობათა წარმოებით (20 მლნ. პირითი ერთეული წელიწადში) შედის მსოფლიო სამეურლში. მავრიკიაში თავისუფალი ეკონომიკური (საექსპორტო წარმოების) ზონები უზუნქციონირებს ქავნის მიერ განსაზღვრული კანონმდებლობით. იქ ადგილობრივი საქონონმდებლო ბაზის საფუძველზე ნედლეულის, მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილების იმპორტი დაუბეგრავია. მოგება არ იძეგრება პირველი 15 წლის განმავლობაში. საქონლისა და ვალუტის გატანა უცხოეთში თავისუფლად, ყოველგვარი აკრძალვისა და დაბეგვრის გარეშე წარმოებს. საშემოსახლო გადასახადი 15%-ს შეადგენს (ჩეეულებრივი 35%-ის ნაცელად), ზონების ქონება არ ექვემდებარება ნაციონალიზაციას. აკრძალულია გაფიცვები და იაუი სამუშაო ძალის გამოყენება. უცხოური ინექსტორების გეოგრაფია ძალზე დივერსიულიცირებულია. მავრიკია ძევლად იყო შაქრის მწარმოებელი ქვეყანა, დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე, საღაც მოსახლის 15%-იანი შემცირება ითვლებოდა სტიქიურ უბედურებად. ამჟამად, კი მათ

<sup>2</sup> მავრიკია მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში, მავრიკიას ეუნიტებზე.

ოფიციალური ენა - ინგლისური, დედაქალაქი და ძირითადი პორტი - პორტლუ. უულადი ერთეული - მავრიკიული რუპია.



ძირითად შემოსავალს აძლევს თავისუფალი საექსპორტო წარმოების ზონები და არა შაქრის რეალიზაცია. მავრიკის "თეზ"-ში ძირითად სასაქონლო პროდუქციად ითვლება შალის ქსოვილისაგან დამზადებული ტანსაცმელი და სხვა ნაკეთობები. მათი ხვედროთი წილი საერთო წარმოებაში 60%-ის ტოლია. ზონებიდან სახელმწიფო იღებს (საწარმოებიდან ბეგარის სახით, შენობების არენტით, ელექტროენერგიის, წყლისა და ა.შ. გამოყენებისათვის დაწესებული გადასახადებით და სხვა) მისი მთლიანი შემოსავლის ნახევარს. ამ გზით მავრიკიაში მოიხსნა უმუშევრობა მაშინ, როცა რამოდენიმე წლის წინ იქ ყოველი მეხუთე უმუშევარი იყო.

თავისუფალი ეკონომიკური ზონებისადმი სათანადო დაინტერესებას იჩენენ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქავნები - უნგრეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და სხვა. ასე მაგალითად, 1982 წელს სპეციალური ეკონომიკური ზონა შეიქმნა და დღესაც მოქმედებს უნგრეთში. 1987 წ. ეი - ბულგარეთის პორტში. ამ ზონებში უცხოელთა ქონების დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. იქ საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლება განმტკიცებულია კანონმდებლობით და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული ნათელყოფს ამა თუ იმ (განსაკუთრებით კი განვითარებად) ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და უსწევიონირების უზექტურობას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ დღეს "თეზ"-ის შექმნისადმი საქმაო ინტერესი არსებობს საქართველოშიც.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხების ირგვლივ აქტიური მუშაობა საქართველოში დაიწყო 1990 წელს, როცა დამუშავდა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილებულად წარედგინა კონცეფცია "საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისა და უსწევიონირების შესახებ" და ინფორმაცია "უოოში თავისუფალი მეწარმეობის ზონის შექმნის შესახებ". შემდგომ 1994 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება №882 "საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ღონისძიებათა შესახებ", 1995 წელს შეიქმნა საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების პრობლემათა შემსწავლელი კომისია. კომისიამ 1995 წ. განიხილა "უოოში თავისუფალი ვაჭრობის ზონის დებულება" (პროექტი), შეისწავლა თბილისში, ბათუმში და უოოში "თეზ"-ების ფორმირების პრობლემები. 1996-1997 წლებში დამუშავდა კანონპროექტი "თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ საქართველოში".

"თეზ"-ების შექმნისა და უსწევიონირების წინაპირობას წარმოადგენს საკანონმდებლო ბაზის არსებობა. საკანონმდებლო ბაზაში არსებოთია ორი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, პირები - "კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ" და მეორე, კანონქემდებარე ღოკუმენტებისა და აქტების ააერთი.

კანონით "თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ" ხორციელდება "თეზ"-ების შექმნის, უსწევიონირების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სქემატური პროცესის რეგლამენტაცია. კერძოდ, აუცილებელია მიზნის ზუსტად განსაზღვრა:

საერთო სახელმწიფო ებრივი, რეგიონული და უწყებრივი ინტერესების ზესტად დადგენა; "თეს"-ები უნდა ემსახურობოდნენ ან საერთო სახელმწიფო, ან რეგიონულ, ან დარგობრივ ინტერესების და საბოლოო ჯამში ხელს უნდა უწყობდნენ საზოგადოებრივ პროგრესს. გამორჩიცებულია რეგიონული და უწყებრივი ინტერესების წინააღმდეგობა საერთო სახელმწიფო ინტერესებთან.

"თეს"-ები, როგორც უკვე ავლინშნეთ ზემოთ, იქმნება განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია მათი თანმთხვევა ადმინისტრაციული დაყოფისადმი (ქალაქი, რაიონი, რეგიონი). მაგალითად: ფოთის ან ბათუმის ზონა, ან აჭარის რეგიონული ზონა). "თეს"-ების ტერიტორიულ საზღვრებში პრივილეგირებულია რეგიონული ინტერესები.

დარგობრივი სპეციტრიდან ზონაში შეჩრეულ უნდა იქნეს რამოდენიმე დარგი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ განვითარებას. მაგალითად, თბილისის აეროპორტი და ფოთის პორტი "თეს"-ებად გამოცხადების შემთხვევაში, ხელს შეუწყობენ მომხახურების სფეროს დარგებისა და ტრანსპორტის დარგის განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ღონებები.

საქართველოში, წინა წლებში საეციალისტ პრაქტიკოსთა და თეორეტიკოსთა განსჯის საგანი გახდა "თეს"-ების შექმნის საკითხი ფოთის, ბათუმის და თბილისის ტერიტორიებზე.

ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის დამუშავებულ იქნა მთელი რიგი საქვანძო საკითხები. კერძოდ,

1. ზონის გაადგილების ტერიტორია და ფართობი;
2. სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები;
3. შრომითი რესურსებით (მათ შორის კვალიფიციური კადრებით) დაკომპლექტების შესაძლებლობები;
4. ენერგეტიკული და წყლის რესურსებით უზრუნველყოფის პირობები;
5. წინადადებები სამეურნეო საქმიანობის შესახებ;
6. საფინანსო რეჟიმთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები;
7. ზონის ფუნქციონირების აღმინისტრაციული საკითხები;
8. ზონის ლიკეიდაციის პირობები.

როგორც ფოთში, ისე ბათუმში და თბილისშიც "თეს"-ების პროექტები შემუშავდა ტერიტორიებისათვის, სადაც გაადგილებულია პორტები, სატრანსპორტო კვანძები და საბაჟო პუნქტები.

წინასწარი პროგნოზებით საქართველოში "თეს"-ების შექმნა ნავარაუდევია (რეკომენდებულია) ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შექმნება ლოკალური ანუ მცირემას შტაბიანი ზონები, მეორეზე კი მსხეილი სამრეწველო-სავაჭრო დანიშნულების ზონები. მეორე ეტაპზე შესაძლებლადაა მიჩნეული რეორგანიზაციის ჩენებს მიერ ზემოთ განხილული ფორმების (გაერთიანება, მიერთება) გამოყენება, პრეფერენციებით სარგებლობა და ძირითად სამუშაოთა დაკომპლექტება პირველ ეტაპზე მომზადებული კვალიფიკაციური კადრებით.



აღნიშნულიდან ცხადია, რომ საქართველოში შეთქმული შესაქმნელად, დღეისათვის, უკეთ ჩატარებულია საქმაო რაოდენობის თეორიული და პრაქტიკული შინაარსის სამუშაოები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენთან, ასეთი ზონების შექმნის საკითხი, ჯერ ჯერობით, მაინც შეჩერებულია ხერიოზული პოლიტიკური მიზეზების გამო. ჩენ, მათ ამ სტატიაში არ განვიხილავთ, რადგან ისინი არ წარმოადგენენ ეკონომიკის და პირადად ჩვენი კალევის საგანს. თუმცა ერთი კი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ “თეზ”-ების დაარსებას საქართველოში, ნებისმიერ შემთხვევაში, ესაჭიროება პოლიტიკურად სტაბილური სიტუაცია. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყევანილი “უორს-მაჟორი”. აუცილებელია დასრულდეს ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკური მოწყობის პროცესი. ქვეყნაში უნდა მოქმედებდეს სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. გათვლილი და ურთიერთგაწონასწორებული უნდა იყოს “თეზ”-ების შექმნისა და უუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკურ შედეგთა დაღებითი და უარყოფითი მუექტებით და სხვა.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამგვარი საკითხების დარეგულირების შემდეგ იქნება შესაძლებელი და ხელსაყრელი საქართველოში “თეზ”-ების შექმნა და იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, მოწინავე ტექნიკის, ტექნოლოგიების, კვალიფიციური კადრების მოზიდვას, მეცნიერებულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართდებული, თატიქიკური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას და ა.შ.

#### ლ ტ ა რ ა ტ უ რ ა

1. არჩეაძე ზ. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მომავალი საქართველოში.-ქ. “ეკონომიკა”, 1995 წ., № 4-6.
2. ნათელაური ი. ერთობლივი საწარმოების შექმნისა და უუნქციონირების პრობლემები საქართველოში, თბ., “21-ე საუკუნე”, 1992 წ.
3. ძნელაძე დ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 1997 წ.
4. ჯოლია გ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. - თბ., “მეცნიერება”, 1998 წ.
5. Зоны совместного предпринимательства в СССР (концепция создания и функционирования). - Жур. "Внешняя торговля", 1989 г, №6.
6. Максаковский В. П. Географическая картина мира. Ярославль, "Верхневолжское книжное изд-во", 1996 г.

## Free Economic Zones and Possibilities of their Creation in Georgia

Giorgi Tsereteli, Iza Natelauri

380007, Tbilisi, 14 Kikodze Str.

P.Gugushvili Institute of Economics of  
the Georgian Academy of Sciences

**Summary.** The work deals with general-methodological aspects of creation and functioning of economic zones. Regime condition of such zones are stated; the problems of providing the zones with labor, material and financial resources, the problems of reflecting foreign economic and ownership relations are studied as well; the typical kinds of functioning of free economic zones used in the world are analyzed; the world experience of free economic zones, based on the data of industrial capitalist, socialist and small developing countries are generalized in the work; the possibilities and perspectives of the creation of free economic zones in Georgia are generalized. Reliable recommendations on the creation of such zones on the territory of our country are proposed.

## Свободные экономические зоны и возможности их создания в Грузии

Черетели Георгий, Нателаури Иза

380007, Тбилиси, ул. Кикодзе 14

Институт экономики им. П. Гугушвили

Академии наук Грузии

**Резюме.** В труде рассмотрены общие методологические аспекты создания и функционирования свободных экономических зон. В нем установлены условия режима создания и функционирования таких зон, изучены вопросы обеспечения зон трудовыми, материальными и финансовыми ресурсами, отражающие внешнеэкономические отношения и отношения собственности и др., проанализированы типичные разновидности мировых моделей свободных экономических зон, обобщен опыт свободных экономических зон, опираясь на данные развитых капиталистических, социалистических и малых развивающихся стран. Исследованы возможности создания и перспективы свободных экономических зон в Грузии, предложены соответствующие рекомендации для формирования таких зон на территории нашей страны.

# გადასახადების სახელმწიფო მინისტრის მინისტრის ბიურო

შპს „გადასახადების სახელმწიფო მინისტრის ბიურო“

380103, თბილისი, ორხევი, აბზიანიძის 4

საქართველოს სახელმწიფო

საბაკო დარღვეულობრივი

შემოვიდა 1998 წლის 15 სექტემბერს

**რეზიუმე.** ნაშრომში განხილულია გადასახადების სახელმწიფო უფლების მნიშვნელობის თეორიული დასაბუთება მსოფლიოში აღიარებული კურნომიკური მიმდინარეობების (ქლასიკური, კუნისიანური, ნეოკლასიკური, ნეოკლასიკური სინთეზი) გაშუქების საფუძველზე. დასაბუთებულია, რომ სხვადასხვა კურნომიკური მიმდინარეობის მიღვიმა გადასახადებისადმი სხვადასხვაგარია თუმცა ყველა აღიარებს მათ სახელმწიფო უფლების მნიშვნელობას და საგადასახადო პოლიტიკას მიმჩნევს ძალის კურნომიკური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად, ხოლო გადასახადებს – კურნომიკის სახელმწიფო უფლების რეგულირების ბერკეტად. თანამედროვე პირობებში კურნომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ვაბატონებულია ზღვრული საგადასახადო განაკვეთების რადიკალური შემცირების იდეა. რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო ძლიერია გადამხდელთათვის თავის არიდების წამქენებებით მოტივი. “ჩრდილოვანი” კურნომიკის უშუალო კავშირი აქვს გადასახადების მათი გაზრდა აუკრიტიკის “ჩრდილოვანი კურნომიკის” საზღვრებს მაღალი საგადასახადო განაკვეთები ახორციელება დიდ დეფიციტთან, უმცირესობის დონის ზრდასა და მოულოდნელ ინფლაციასთან.

საგადასახადო განაკვეთების დონის უორმირების კანონის არსი მდგომარეობს შემდგვრის უართო საგადასახადო ბაზა შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთების დაწესების საშუალებას იძლევა, ხოლო მცირე საგადასახადო ბაზა გულისხმობის მაღალ საგადასახადო განაკვეთების საქართველოში სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაუარების შედარებით დაბალი კოეფიციენტი (60-65%) ასესნება საგადასახადო ბაზის სივიწროეთი, გადასახადების აკრეფის მექანიზმის მოწესრიგებლობით, “ჩრდილოვანი” კურნომიკის მაღალი ხევდრითი წონითა (50-55%) და კლასური კურნომიკის არსებობით. საქართველოში გადასახადებმა არა მხოლოდ ფისკალური, არამედ მარტენისტული და მასტიმულირებელი უწესებების შესრულებით შეიძლება პოზიტიური ზემოქმედება მოახდინონ მაკროეკონომიკურ პროცესებზე, ხელი შეუწყონ პრიორიტეტული დარგების განვითარებასა და პროტექციონისტული კურნომიკური პოლიტიკის გატარებას.

\*\*\*

გადასახადები კურნომიკის სახელმწიფო უფლების მნიშვნელოვანი ბერკეტია, ხოლო საგადასახადო პოლიტიკა – სახელმწიფოს კურნომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

გადასახადები არის საგადაღებულო მოსაკრებლები, რომელიც ფიზიკური პირების მიერ ფიქსირებულად გადაირიცხება სახელმწიფო (ადგილობრივ) ბიუჯეტში კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების შესაბამისად. გადასახადების არსებობის ისტორია იმდენივე ხნისაა, რამდენისაც სახელმწიფოსი. სახელმწიფოს წარმოშობიდანევე გადასახადები უკონომიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის აუცილებელ რგოლად იქცა. ბიძლიაში ნათქვამია, რომ მოსავლის ერთი მეათედი უნდა დარჩეს. გადანაწილებისა და საკელესიო მრევლისათვის. მართლაც, თავდაპირულად გადასახადები შემოსავლების 10%-ს შეადგენდა. უკონომიკური სისტემის ცალილებისა და განვითარების კვალობაზე იცვლებოდა საგადასახადო სისტემაც. თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ფინანსების ფორმირების ძითადი წყარო, თუმცა ამ რესურსების ხარჯების მიზანი და მიმართულება უშუალოდ საგადასახადო მექანიზმს არ უჟავშირდება. ამ უკანასკნელზე დამოკიდებულია მხოლოდ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შექმნა, ხოლო მისი ხარჯება განისაზღვრება პოლიტიკური და უკონომიკური პირობებით, ქვეყნის პოლიტიკით. აქედან გამომდინარე, უკონომიკაზე საგადასახადო მექანიზმის ზემოქმედება შეიძლება. შეფასდეს მხოლოდ მთლიანად ამ პოლიტიკის მიმართულების გათვალისწინებით. თუ სახელმწიფოს მიერ აკრევილი გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენება მწარმოებლური მიზნებისათვის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების, ეფექტიანი მეცნიერებლი გამოკიდებულისა და თავდაცვისათვის, ამავე დროს, სახელმწიფო ააკარატის ხარჯები დიდი არ არის, მაშინ გადასახადები კი არ ამჟარუჭებს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს უკონომიკის განვითარებას.

განვითარებული ქვეყნების სამეურნეო პრაქტიკა ადასტურებს გადასახადების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. სახელმწიფო, გადასახადების დადგენით, საგადასახადო ბაზის, დაბეგვრის სუბიექტებისა და ობიექტების განსაზღვრით, საგადასახადო პირობებში ცვლილებების შეტანით (საგადასახადო განაკვეთების, შეღავათებისა და სანქციების დაწესება) ზემოქმედებას ახდენს მაკროეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებით, სამეწარმეო საქმიანობაზე, ხელს უწყობს ან აფერხებს მეწარმეთა აქტიურობას, აძლიერებს ან ასუსტებს კაბიტალის დაგროვებას, აუართოებს ან ამცირებს მოსახლეობის გადახდის უნარიან მოთხოვნილებას და ა.შ.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება საგადასახადო სისტემაში პერიოდული ცვლილებების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაზე მიუთითებს. აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მეცნ საკანონმდებლო რეგლამენტიაციაზე დაფუძნებული საგადასახადო სისტემის ცენტრალიზებულმა მართვამ ეს სისტემა სახელმწიფოს უკონომიკური პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად აქცია.

გადასახადების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თეორიული დასაბუთება მოცემულია მსოფლიოში ძღიარებულ უკონომიკურ



მიმდინარეობებში. „დაბეგვრის თეორიის“ ეკოლუცია ეკონომიკური აზრის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა. საგადასახადო სისტემის კონცეპტუალური მოდელები სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე დამოკიდებულების შესაბამისად იცვლებოდა, ხოლო საგადასახადო სისტემის ფორმირება სახელმწიფოს განვითარების პალობაზე ხდებოდა.

ჩანგრძლივი დროის განმავლობაში ეკონომიკაში გადასახადების როლის თაობაზე გაძატონებული იყო კლასიკური თეორია. 200 წლის წინათ ა. სმითმა პირველმა შექმნა დაბეგვრის თეორია. იგი მიუთითებდა, რომ საგადასახადო ტკიროს შემცირებით სახელმწიფო მეტს მოიგებს, ვიდრე მისი გაზრდით. ამასთან, გადამხდელები თავისუფლად შეძლებენ გადახდას, რაც სახელმწიფოს გაათავისუფლებს გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯებისაგან [ 1, გვ. 371, 589]. სმითის ეს ორი საუკუნის წინანდელი გამონათქვამი აქსიომად იქცა თანამედროვე პირობებში მრავალი განვითარებული ქვეუნისათვის.

ა. სმითმა ჩამოაყალიბა დაბეგვრის თოხი პრინციპი: თანაბარზომიერება, განსაზღვრულობა, მოხერხებულობა და სიიავე, იგი წერდა: გადასახადი, რომლის გადახდაც უველასათვის სავალდებულოა, უნდა, განისაზღვროს ზუსტად და არა თვითნებურად. გადასახადის ოდენობა, მისი გადახდის დრო და წესი ცნობილი უნდა იყოს როგორც გადამხდელისათვის, ისე უკელა დანარჩენისათვის. იქ სადაც ასე არ არის, გადასახადის გადამხდელი ეკცვა გადასახადების ამჟრეფის ძალაუფლების ქვეშ [ 1, გვ. 588- 589].

დ. რიკარდომ შეისწავლა გადასახადების ეკონომიკური არსი, იგი წერდა: გადასახადები შეადგენს, ქვეყნის პროდუქტისა და შრომის იმ ნაწილს, რომელიც თავს იყრის მთავრობის განკარგულებაში და, საბოლოო ანგარიშით, გადაიხდება ქვეყნის კაპიტალიდან ან შემოსაელიდან [ 2, გვ. 100].

კლასიკური თეორია გადასახადებს მიიჩნევს წმინდა ფისკალურ იარაღად, მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წარმოდ, მაშინ, როდესაც კეინზიანური თეორია ინკვესტიციების მოზიდვაში არც თუ მცირე როლს ანიჭებს სახელმწიფოს, თავისი არა მხილოდ საკრედიტო-უფლები, არამედ საბიუჯეტო პოლიტიკითაც. კ. კეინზის აზრით, სახელმწიფო, გადასახადების შესაბამისი სისტემის გეშვერით, ახდენს ხელმძღვანელ ზემოქმედებას მოხმარებისაკენ მიღირეკილებაზე, რისთვისაც არ გამორიცხავს ხელისუფლების თანამშრომლებას კერძო ინიციატივასთან და მასთან დაკავშირებულ ყველა სახის კომპრომისს [ 3, გვ. 364-365]. კ. კეინსი მხარს უჭერს პროგრესულ დაბეგვრას, ვინაიდან თვლის, რომ პროგრესული საგადასახადო სისტემა სტიმულს აძლევს მწარმოებლის რისკს კაპიტალურ დაბანდებაში. მისი აზრით, თუ ქვეყანაში არ არის მოწევული სრული დასაქმება, მაღალი დანაზოგი ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან იგი შემოსავლის პასური წარმოდა და წარმოებაში არ გამოიყენება. ამიტომ საჭიროა ჭარბი დანაზოგის

ამოღება გადასახადების მეშვეობით, რაც უნდა მოხდეს სახელმწიფოს ჩარევით.

კეინზიანელები გადასახადებს ეკონომიკის სახელმწიფო ებრივი რეგულირების ეფექტიან საშუალებად მიიჩნევენ. მათი აზრით, ეკონომიკურ სისტემაში გადასახადება უნდა შეასრულოს ეწ. “ჩაშენებული სტაბილიზატორის” როლი. წარმოადგენენ რა ბიუჯეტის განუყოფელ ნაწილს, გადასახადები გაფლენას ახდენენ ეკონომიკის ბალანსირებაზე საგადასახადო შენატანების შემცირება ამცირებს ბიუჯეტის შემოსავლებს და აძლიერებს ეკონომიკურ მერყეობას. ამასთან, გადასახადები როგორც “ჩაშენებული სტაბილიზატორები” ასუსტებენ ამ პროცესს: ეროვნული პროდუქტის ზრდის ეკალობაზე ავტომატურად იზრდება საგადასახადო შემოსავლებიც: რამდენადაც ეს თანხა წარმოებისათვის დანაკარგია, იგი აუკრებებს ეკონომიკურ ზრდას. ამიტომ ეკონომიკური აღმავლობის დროს შემოსავლები უფრო ნელა იზრდება, ვიღრე გადასახადები. ამასთან, საგადასახადო შემოსავლების ზრდა- წარმოქმნის ბიუჯეტური ნამეტები შექმნის ტენდენციას. კრისისის დროს გადასახადები უფრო სწრაფად ეცემა, ვიღრე შემოსავლები. ეს განაპირებებს შედარებით სტაბილურ სოციალურ მდგომარეობას საზოგადოებაში. ამავე დროს, გადასახების შემცირება სახელმწიფო ბიუჯეტს ნამეტობიდან დეფიციტისაქნ უბიძებს.

ამგვარად, საგადასახადო შენატანები ბიუჯეტში დამოკიდებულია არა მხოლოდ საგადასახადო განაკვეთების სიდიდეზე, არამედ შემოსავლების სიდიდის ცვლილებებზეც.

ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი იდეა ინფლაციის დაცემის მეთოდების მიერასთან ერთად მდგომარეობს საგადასახადო შედავათების დაწესებაში კორპორაციებისა და მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებიც ბაზარზე სამომხმარებლო მოთხოვნას ქმნის.

ნეოკლასიკურ მიმართულებაში მონეტარიზმთან ერთად უართო განვითარება პოვა მიწოდების თეორიამ.

მიწოდების თეორია, უფრო ზუსტად “მიწოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორია” ითვალისწინებს გადასახადების შემცირებასა და საგადასახადო შედავათების კორპორაციებისათვის. ამ თეორიის წარმომადგენლების აზრით, მაღალი გადასახადები აუკრებებს სამეწარმეო ინიციატივასა და ამუხრუჭებს საინკუსტიციო პოლიტიკას. ამ თეორიის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია სახელმწიფო ხარჯების აუცილებელი შემცირება, ხოლო მთავარი პოსტულატი – იმის მტკიცება, რომ ბაზრის საუკუთხესო რეგულატორი თვით ბაზარია, სახელმწიფო რეგულირება და მაღალი გადასახადები კი მხოლოდ ხელს უშლიან მის ნორმალურ უზრუნველისამყოფებას.

საგადასახადო განაკვეთების დონის უორმირების ქანონის არსი მდგომარეობს შემდეგში: ფართო საგადასახადო ბაზა შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთების დაწესების საშუალებას იძლევა და, პირიქით, მცირე საგადასახადო ბაზა გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს. განსხვავებული დონის საგადასახადო განაკვეთები სხვადასხვა გაფლენას ახდენენ სამეურნეო პროცესებზე



და მეწარმეთა საქმიან აქტიურობაზე, სხვადასხევა რეაქციას იწვევენ საინერციციო პროცესების მიმართ. ამასთან, საგადასახადო განაკვეთები არ უნდა იყოს მინიმალური, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ბიუჯეტის მოთხოვნა და გადასახადები შეწვერენ ეკონომიკური რეგულატორის ფუნქციის შესრულებას.


ამრიგად, მიწოდების თეორია, რომელიც XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში აშ-ში განვითარეს მ. უეინდენბაუმმა, მ. ბერნსონმა, გ. სტაინომმა, ა. ლაუერმა და სხვებმა, ეკონომიკა ზღვრული საგადასახადო განაკვეთების რადიკალური შემცირების იდეას.

ა. ლაუერმა რესტორანში ქაღალდის ხელსაწმენდზე დახაზა ამჟამად ეკონომისტთა ფართო წრისათვის ეარგად ცნობილი ე.წ. "ლაუერის მრუდი". ფუნდამენტური იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემულ მრუდს, ასეთია: რაც უფრო მაღლაა ზღვრული საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო ძლიერია გადამხმდელთათვის თავის არიდების წამეჭხებელი მოტივი. ა.-ლაუერი-წერდა: ადამიანები იმისთვის არ მუშაობენ, რომ გადასახადები იხადონ. გადასახადების გამოქვითვით, წმინდა შემოსავალი განსაზღვრავს, კონკრეტული პიროვნება მუშაობს თუ "პლაჟზე ზის" [ 4, გვ. 9]. სამეურნეო აგენტების დაინტერესება, ა. ლაუერის აზრით, ეკონომიკის აუგავების მამოძრავებელი ძალაა.

ა. ლაუერმა პარაბოლური მრუდით გამოხატა რაოდნობრივი დამოკიდებულება დაბეგვრის პროგრესულობასა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის (იხ. ნახ. I).

ნახაზი 1

დამოკიდებულება ბიუჯეტში საგადასახადო  
შენატანებსა და დაბეგვრის დონეს შორის



ბშ-ბიუჯეტის შემოსავლები;

სგ- საგადასახადო განაკვეთი (0-დან 100%-მდე);

ბშ-ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმალურად შესაძლებელი სიღიდუფი

სგ-ზღურული საგადასახადო განაკვეთი, როდესაც ბიუჯეტის შემოსავლები მაქსიმალურ დონეს აღწევს.


როგორც ნახაზიდან ჩანს, საგადასახადო განაკვეთის ზრდა მხოლოდ გარეულ საზღვრამდე უწყობს ხელს საგადასახადო შენატანების ზრდას. შემდეგ ეს ზრდა ოდნავ ნელდება, მერე კი დაცემას იწყებს. შესაბამისად მცირდება ბიუჯეტის შემოსავლებიც და ბოლოს, მკეთრად უცემა ერთიც და მეორეც.

მოცემულ მრუდზე გადაკვეთის წერტილი გამოხატავს საზღვარს, რომლის იქითაც საგადასახადო განაკვეთის ზრდა სამეწარმეო საქმიანობის ანტისტიმულად იქცევა. თუ საგადასახადო განაკვეთი ნულს გაუტოლდა, საგადასახადო შენატანები საერთოდ არ იქნება ანალოგიური სიტუაცია შეიქმნება საგადასახადო განაკვეთების 100%-იანი დონის პირობებშიც, რისი მიზეზიც ამ შემთხვევაში კომერციული საქმიანობის მატერიალური სტიმულირების გაქრობაა. მცირდება სამეწარმეო ინიციატივა, წარმოების გაფართოების სტიმულები, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. რის შედეგადაც გადასახადის გადამხდელთა ნაწილი გადადის ეკონომიკის "ლეგალური" სექტორიდან "ჩრდილოვან" სექტორში.

ა. ლაუგერმა დაბეგვრის დონის ცვლილების გავლენა ეკონომიკურ აქტივობასა და დასაბეგრ ბაზაზე გრაფიკულად ნახაზით გამოხატა (იხ.ნახ.2).

## ნახაზი 2

დაბეგვრის დონის ცვლილების გავლენა  
ეკონომიკურ აქტივობასა და დასაბეგრ ბაზაზე



სბ – საგადასახადო ბაზა;

— — — შემოსავლები, რომლებიც იბეგრება, A;

— - - რეალურად დაბეგრილი (დეპლარირებული) შემოსავალი, B;

██████ — დაბეგვრისაგან დაფარული შემოსავლები.

ამრიგად, ლაუერის თეორიის მიხედვით, "ჩრდილოვანი" ეკონომიკის განვითარებას უშეალო კავშირი აქვს საგადასახადო სისტემასთან. ე. გადასახადების გაზრდა აფართოებს "ჩრდილოვანი" ეკონომიკის საზღვრებს.

ა. ლაუერის აზრით, ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების ზღვრული განაკვეთია შემოსავლების 30%, რომლის ფარილებშიც ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება. გადასახადებით შემოსავლების 40-50%-ის ამოდებისას, როდესაც საგადასახადო განაკვეთი მოქმედების "კრძალულ ზონაში" მოხვდება, მოსახლეობის დანაზოგი მცირდება, რაც ახშობს ინვესტიციებისაღმი ინტერესს და ამცირებს საგადასახადო შენატანებს.

მონეტარული თეორია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია მ. ფრიდმენი, მხარს უჭერს თავისუფალი ბაზრის იდეას და გულისხმობს სახელმწიფოს როლის შემოფარგლას მხოლოდ იმ საქმიანობით, რომლის შესრულებაც მის გარდა არავის, შეუძლია. ეს არის მიმოქცევაში ულის რეგულირება. ამასთან დაკავშირებით, მონეტარული თეორია ყურადღებას ამახვილებს გადასახადების შემცირებაზე. მონეტარისტების აზრით, რადგან სახელმწიფო ყოველწლიურად ზრდის ხარჯებს, რაც იწვევს ინვლაციის დამატებით ზრდას, მას არ უეულია წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და ფასების რეგულირება, მას მხოლოდ შეუძლია დაეხმაროს ეკონომიკას უულადი მასის რეგულირებით -ზედმეტი უული ამოიღოს მიმოქცევიდან თუ სახელმწიფო სესხებით არა, გადასახადებით მაინც.

"ნეოკლასიკური სინთეზის" .(როგორც თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრული თეორიის) თვალსაჩინო წარმომადგენლი, ცნობილი ამერიკული მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი პ. სამეულსონი გვთავაზობს სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის უფექტიანობის ამაღლების გზებს, რომელშიც გადასახადებს უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს. იგი გადასახადების პროგრესულობის მოშხრეა (თუმცა, როგორც ამერიკული მეცნიერი ჯ. სტივლიცი აღნიშნავს, დიდმა პროგრესულობამ შეიძლება გამოიწვიოს დიდი წმინდა დანაკარგები [6,გვ.450]); ამასთან, პ.სამეულსონი ყურადღებას ამახვილებს დაბეგვრის საზოგადოებრივ სარგებლიანობაზე.

სამეულსონის აზრით, გადასახადების სტრუქტურა ისეთი უნდა იყოს, რომ ბაზრის მექანიზმით განსაზღვრული შემოსავლები მისი მეშვეობით საზოგადოების ინტერესების დასაქმაყოფილებლად გადანაწილდეს. იგი მიუთითებს კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადების რეგრესულ შედეგებზეც, რაც აუკრებს რესურსების ეუქეტიან გამოყენებას, ამასთან, უურადღებას ამახვილებს ორმაგი დაბეგვრის უარყოფით მოქმედებაზე და საერთოდ, საგადასახადო სისტემას, როგორც მთელი ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს, გადასახადების პროგრესულობის თვალთახედეთ აუასებს. ამიტომ საგადასახადო პოლიტიკა, სამეულსონის აზრით, კარგად

მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი უნდა იყოს და თანამედროვე კონიკიურ ანალიზს ეფუძნებოდეს [5, გვ. 159, 165].

ამერიკელი ეკონომისტები მიეღნენ იმ დასკვნამდე, რომ უედერალური გადასახადების საშუალო განაკვეთსა და უედერალური ბიუჯეტის დეფიციტს შორის კორელაციური კავშირი არსებობს. მართალია, გადასახადების გაზრდა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ან ლიკვიდაციის უკელაზე მარტივი გზაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მხარეზე გადასახადები მხოლოდ აღრმავებს დეფიციტს. გადასახადების მაღალი პროცენტი ასოცირდება დიდ დეფიციტთან, უმუშევრობის დონის ზრდასა და მოულოდნელ ინფლაციასთან.

ამრიგად, სხვადასხვა ეკონომიკური მიმდინარეობის მიღებამ გადასახადებისადმი სხვადასხვაგარია, თუმცა ყველა აღიარებს მათ სახელმწიფო უფოსებრივ მნიშვნელობას და საგადასახადო პოლიტიკას მიიჩნევს ქაჰნის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად.

გადასახადების სახელმწიფო უფოსებრივი მნიშვნელობა და როლი მაკროეკონომიკურ რეგულირებაში მათ ფუნქციებში ვდინდება. გადასახადების ფისკალური ფუნქცია, როგორც მთავარი ფუნქცია, მათი არსის გამომხატველია. მირითადად ამ ფუნქციის მეშვეობით უფრისი სახელმწიფოს ფინანსური რესურსები, რომელიც თავს იყრის საბიუჯეტო სისტემასა და არასაბიუჯეტო უონდებში და ქმნის მატერიალურ პირობებს სახელმწიფოს არსებობისათვის. გადასახადების ფისკალური ფუნქციით ხდება ეროვნული შემოსავლის ნაწილის ფულადი ფორმით გასახელმწიფო უფოსებრივება.

საგადასახადო “ტეირთის” დონე განისაზღვრება, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო ხარჯების სიდიდით. 1993 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის კოეფიციენტით განვითარებულ ჭრების პირველ აღგილზე იყო აშშ (82,8%), შეორეზე-გარმანია (79,4%), შესამეზე -დიდი ბრიტანეთი (77,2%), შემდეგ - იაპონია (75,7%), საფრანგეთი (73,1%) და ა.შ. ამ ჭრების საგადასახადო შენატანების მაღალ დონეს ერწყმის სახელმწიფო ხარჯების შედარებით დაბალი დონე, რასაც განაპირობებს მოსახლეობის არასახელმწიფო უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წილი.

რაც შეეხება საქართველოს, ჩენში არასახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ამიტომ იგი არსებით გავლენას ვერ ახდეს სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე, ხოლო სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის შედარებით დაბალი კოეფიციენტი (დაახლოებით 60-65%) მირითადად აისხება საგადასახადო ბაზის სივიწროვით, გადასახადების აკრეიცის მექანიზმის მოუწესრიგებლობით, “ჩრდილოვანი” ეკონომიკის მაღალი ხედრითი წონითა (50-55%) და კლანური ეკონომიკის არსებობით.

აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: საერთაშორისო საეალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი სწორედ აღნიშნულ მაჩვნებელზე - სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის კოეფიციენტზე - ამასებილებენ ყურადღებას, როდესაც ამბობენ, რომ საქართველოში გადასახადები არ არის მაღალი.



გადასახადების ფისკალური უუნქცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ საქონტროლო უუნქციასაც. საქმე ისაა, რომ ამ უუნქცით იქმნება საგადასახადო შენატანების რაოდენობრივი გამოხატვისა და ფინანსურ რესურსებში მათი სახელმწიფოს მოთხოვნილებებთან შედარების შესაძლებლობა. საქონტროლო უუნქციის მეშეებით ფასდება საგადასახადო მექანიზმის ეფექტიანობა, ხორციელდება ქონტროლი უინანსური რესურსების მომრაობისადმი, კლინდება საგადასახადო სისტემასა და საბიუჯეტო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და ა.შ. ამასთან, გადასახადების საქონტროლო უუნქციის განხორციელება, მისი სიღრმე გარემოულწილად დამოკიდებულია საგადასახადო დისციპლინაზე.

თანამედროვე პირობებში განვითარებული ქეყნების საგადასახადო სისტემა ცილდება გადასახადებისათვის იმანენტური ფისკალური უუნქციის ფარგლებს და როგორც ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ასრულებს. მარეგულირებელ და მასტიმულირებელ უუნქციებს. სახელმობრ, ეს უუნქციები ძირითადად გამოიხატება: 1.საკუთრების ნებისმიერი ფორმის საწარმოთა სამეურნეო. საქმიანობის პირობების რეგულირებაში; 2. საქმიანობის ცალკეული სახეების სხვადასხვა საქონლის წარმოების, საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების სტიმულირებაში; 3. საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებაში; 4. გადანაწილების რეგულირებაში; 5. დასაქმებისა და სასოგადოების სოციალური დიუკრენციაციის დონის რეგულირებაში; 6. უცხოური კაპიტალის მოზიდვის რეგულირებაში; 7. ინფლაციური პროცესების რეგულირებაში და ა.შ. განვიხილოთ ისინი ცალკალეე:

1. საკუთრების ნებისმიერი ფორმის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის პირობების რეგულირება. ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობები გულისხმობს საქმიანობის თანაბარი პირობების შექმნას საკუთრების ნებისმიერი ფორმის საწარმოებისათვის. ასეთი მიღვომა დაბეგვრის ერთიანი პრინციპების, ერთიანი საგადასახადო განაკვეთების, აგრეთვე საგადასახადო შეღავათების ერთიანი სისტემის არსებობით კლინდება.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ როგორც მსოფლიო პრაქტიკაშია აპრობირებული, გადასახადები არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს შემოსავლის 30-40%-ს (იგი ბევრ ქვეყანაში ნაკლებია, ხოლო საქართველოში 60%-ის ფარგლებშია) და არ უნდა აიძულებდეს მეწარმეს გადასახადების გადასახდელად გამოიყენოს ძირითადი კაპიტალის დირექტლება.

2. საქმიანობის ცალკეული სახეების, ცალკეული საქონლის წარმოების, საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების სტიმულირება. საგადასახადო პროცესის უნდა იცვლებოდეს საქმიანობის ცალკეული სახეების, ცალკეული საქონლის, ექსპორტისა და იმპორტის სტიმულირების სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილების კვალობაზე. ის ხელს უნდა უწყობდეს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას, დეფიციტური პროდუქციის გამოშვებას, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებას.

ამიტომ ეკონომიკის ზოგიერთი დარგი საგადასახადო პოლიტიკის სუკროში განსაკუთრებულ მიღებობას მიითხოვს. გადასახადების მეშვეობით შეიძლება განვითარდეს პრიორიტეტულ დარგებში სამეწარმეო საქმიანობა და პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკა.

 განაწილება და გამოყენების დონე განსაზღვრავს დარგების მთლიანი  
 და საბოლოო გამოშვების სიდიდეს;

2) ოუ საშუალო და გრძელებადიანი საგეგმო პერიოდის  
 ბოლოსათვის შრომითი რესურსების არსებული დონე საკმარისია  
 მოცუმული სტრუქტურისა და მოცულობის საბოლოო პროდუქტის

გამოსაშეებად, მაშინ ეკონომიკას შეუძლია საგეგმო პერიოდიში აირჩიოს დაგროვებისა და ინვესტიციების ისეთი პოლიტიკა, რომ ორგორიც ბოლო წლისათვის, ისე მთელი პერიოდისათვის წარმოება უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის ძირითადი საწარმოო ფონდებით.

მაგრამ მარტო ეს წინაპირობები საქმარისი არ არის მოდელის ფორმირებისათვის. ამაში დასარწმუნებლად განვიხილოთ დინამიკური დარგთაშორისი მოდელის სტანდარტულ დამოკიდებულებათა სისტემა, რომელიც საგეგმო პერიოდის ბოლო წლისათვის შემდეგი სახით გვაქვს მოცემული<sup>1</sup>

$$X = AX + BK + \bar{Y} + \varepsilon \Delta Y, \quad (1)$$

$$FX - W^{-1}K = (E - G)\Phi, \quad (2)$$

$$IX = L, \quad (3)$$

სადაც  $X$  არის მთლიანი გამოშეების ექტორი  $X=(x_i)_{n \times 1}$ ;  $K$  – საწარმოო კაბიტალდაბანდების გექტორი –  $K=(K_j)_{n \times 1}$ ;  $\bar{Y}$  – წმინდა საბოლოო პროდუქტის მინიმალური დონის ექტორი –  $\bar{Y}=(y_j)_{n \times 1}$ ;  $\Delta Y$  – წმინდა საბოლოო პროდუქტის მაქსიმალურად დასაშეები ნაზრიდე  $\bar{Y}$ -ს ზემოთ –  $\Delta Y=(\Delta y_j)_{n \times 1}$ ;  $L$  – შრომითი რესურსების რაოდენობა საგეგმო პერიოდის ბოლო წლისათვის;  $A$  – პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა –  $A=(a_{ij})_{n \times n}$ ;  $B$  – კაბიტალურ დაბანდებათა ტექნოლოგიური სტრუქტურის კოეფიციენტების მატრიცა –  $B=(b_{ij})_{n \times n}$ ;  $G$  – ძირითადი საწარმოო ფონდების მოქმედებიდან გასვლის (ცვეთის) კოეფიციენტების დიაგონალური მატრიცა –  $G=(g_{ij})_{n \times n}$ ;  $\Phi$  – საგეგმო პერიოდის ბოლო წლის დასაწყისში არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების გექტორი –  $\Phi=(\phi_j)_{n \times 1}$ ;  $W$  – ბოლო წლში განხორციელებული კაბიტალური დაბანდებებისა და მოქმედებაში შესული ძირითადი ფონდების დამაკარიზებელი დიაგონალური მატრიცა –  $W=(w_j)_{n \times n}$ ;  $F$  – ფონდტეგადობის კოეფიციენტების დიაგონალური მატრიცა –  $F=(f_j)_{n \times n}$ ;  $E$  – ერთეულოვანი მატრიცა;  $I$  – შრომიატევადობის კოეფიციენტების გექტორ-სტრიქონი –  $I=(i_j)_{1 \times n}$ ;  $\varepsilon$  – პარამეტრი, რომელიც ასასიათებს საბოლოო პროდუქტის მატების ზომას  $\bar{Y}$ -დან ( $\bar{Y}+\Delta Y$ )-მდე;  $i,j$  – დარგების აღმნიშვნელი ინდექსები;  $n$  – დარგების რაოდენობა.

(1)-(3) მოდელში  $X$ ,  $K$  და  $\varepsilon$  ცვლადებოა ერთად უცნობია, აგრეთვე, საგეგმო პერიოდის ბოლო წლის დასაწყისში არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების გექტორი  $\Phi$ . ამის გამო (1)-(3)-ში უცნობთა რიცხვი განტოლებათა რიცხვს აღემატება და ასეთი სისტემა ცვლადების ცალსახად გაანგარიშების საშუალებას არ იძლევა. აუცილებელია რამდენიმე დამატებითი პირობის შემოღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება საგეგმო პერიოდის ბოლო წლისათვის ძირითადი ფონდების ბალანსის (2)-ის ფორმირება და მისი დაკავშირება პროდუქციის წარმოებისა და განაწილების (1)

<sup>1</sup> ჩაწერის სიმარტივისათვის აქ და შემდეგ შიც. აუცილებელი შემთხვევების გარდა, გამოტოვებულია დროის ინდექსი.

განტოლებასთან. დღემდე არსებულ მოდელებში ამ საკითხის გადაწყვეტისათვის უართოდ გამოიყენება საბეჭმო პერიოდში კაპიტალდაბანდებების დინამიკის შესახებ გარევეული გამარტივებული პიპოთებით. როგორც ა. გრანბერგი ოვლის [1] ამ პიპოთებიდან გაფართოებადი ეკონომიკისათვის, როგორიცაა თანამედროვე ქაუნების ეკონომიკა, ყველაზე ბუნებრივია ეკიტალდაბანდებათა ზრდის ხარისხოვანი ფუნქცია, რომელსაც  $j$ -დარგისათვის შემდეგნაირად ჩავწერთ

$$K_j(t) = K_j(0) \cdot q_j^t, \quad (4)$$

სამაც  $K_j(t)$  არის კაპიტალდაბანდებების მოცულობა საბეჭმო პერიოდის რაიმე  $t$  წლისათვის ( $t=1, \dots, T$ );  $K_j(0)$  – კაპიტალდაბანდებების მოცულობა საბაზისო წლისათვის;  $q_j$  – კაპიტალდაბანდებების ზრდის საშუალოწლიური ტემპი.

(4)-ის პირდაპირი გამოყენებით ეღებულობთ არაწრფუი განტოლებათა სისტემისაგან შემდგარ მოდელს, რომლის ამონასხნთა მოძებნა საქმაოდ როცელია. ამიტომ მისანშეწინილი ზდება (4)-ის გაწრფივება. პ. სმერეკი და ი. ურინსონი მათ მიერ შემოთავაზებულ შეურეკურსიან დინამიკურ მოდელში [2] (4)-ის წრფივ სახეზე აპროქსიმაციისათვის შემდეგ დამოკიდებულებას გვთავაზობენ

$$K_j(t) = K_j(0)(1 + \delta_j(t)\sigma_j), \quad (5)$$

სადაც

$$\sigma_j = (K_j(1) - K_j(0)) / K_j(0); \quad (6)$$

$$\delta_j(t) = (K_j(t) - K_j(0)) / (K_j(1) - K_j(0)). \quad (7)$$

ამასთან, ითვლება, რომ  $\sigma_j$  საძიებელი პარამეტრია, ხოლო  $\delta_j(t)$  კოუფიციენტი ყოველი  $t$ -სათვის მოცემულია.

თავის დროზე მე-(5) გამოსახულებაზე დაფუძნებულმა მოდელმა უართო გამოყენება პოვა სსრკ-ის ეკონომიკის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პერსპექტიული განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში. ამიტომ შეეჩერდეთ (5)-ის სეციუიკაზე.

როცა კაპიტალდაბანდებების ზრდის ტემპი მუდმივია, მაშინ ადგილად ვაჩვენებთ, რომ  $\delta_j(t)$  კოუფიციენტებმა უნდა დააკმაყოფილონ მეტრი მოთხოვნა: <sup>2</sup>

$$\frac{\delta_j(2) - \delta_j(1) - 1}{\delta_j(1)} = \frac{\delta_j(3) - \delta_j(2) - 1}{\delta_j(2)} = \dots = \frac{\delta_j(T) - \delta_j(T-1) - 1}{\delta_j(T-1)} = \sigma_j. \quad (8)$$

(8) წარმოადგენს  $T$  ცვლადისაგან  $\delta_1, \delta_2(2), \dots, \delta_T(T)$  და  $T-1$  ტოლობისაგან შემდგარ სისტემას. ზოგად შემთხვევაში, ასეთ სისტემაში შემავალი ცვლადებიდან საქმარისია ერთი რომელიმე დავაუიქსიროთ. მაშასადამე, შეგვიძლია ჩაეთვალოთ, რომ დანარჩენი მასზე დამოკიდებულებით განხსაზღვროთ. მაშასადამე, შეგვიძლია ჩაეთვალოთ, რომ თუ მუდმივი ტემპით კაპიტალდაბანდებების ზრდის კანონის  $-(4)$ -ის აპროქსიმაციას მოვახდენთ (5)-ის სახით, რომელშიც მოცემულია  $\delta_j(t)$ . მაშინ,

<sup>2</sup> (7)-ის თანახმად  $\delta_j(1)=1$ .



უაქტიურად, ჩეენთვის მთლიანად ცნობილი ხდება მთელი საგეგმო პერიოდისათვის კაპიტალდაბანდებების ზრდის დინამიკა როგორც ტემპებში, ისე აბსოლუტურ გამოსახულებაში. ეს კი ნიუნაეს, რომ მოდელში, რომელიც კურდნობა (5)-ს ან უნდა ჩაეთვალოთ, რომ საგეგმო პერიოდში კაპიტალდაბანდებების ზრდის კანონი არ შეესაბამება (4)-ს, ან თუკი შეესაბამება, მაშინ როგორც მთლიანად საგეგმო პერიოდისათვის, ისე მისი ყოველი წლი სათვის კაპიტალდაბანდებების მოცულობა ეგზოგენურად მოცემულად უნდა მიეღოთ. ეს კი გადაჭარბებული გამარტივებაა პ. სმეხოვი და ი. ურინსონი მათ მიერ შემოთავაზებულ უკურვეურსიან მოდელში, მართალია, ხასს უსდამენ მოცემებს, რომ (5) შეესაბამება საგეგმო პერიოდში კაპიტალდაბანდებების თანაზომიერი ზრდის წინაპირობას.

[2, გვ 71], მაგრამ, რეალურად, მოდელის რეალიზაციის დროს, გამოდიან არა  $K_j(t)$ -ს, არამედ  $\Delta K_j(t)$ -ს ზრდის თანაბარზომიერების მოთხოვნიდან, სადაც  $\Delta K_j(t) = K_j(t) - K_j(t-1)$ .

ვაჩენოთ, რომ თუ კაპიტალდაბანდებების ზრდის კანონი მოცემულია (5)-ის სახით, მაშინ მოცემულს წარმოადგენს  $\Delta K_j(t)$ ,  $t=1, \dots, T$  სიდიდეების საგეგმო პერიოდში განაწილების სტრუქტურა:

$$\gamma_j(t) = \Delta K_j(t) / \Delta K_j, \quad t = 1, \dots, T, \quad (9)$$

$$\text{სადაც } \Delta K_j = \sum_{t=1}^T \Delta K_j(t). \quad \text{მარტლაც, } t = 2, 3, \dots, T$$

მნიშვნელობებისათვის თანმიმდევრობით განვიხილოთ (7). მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ

$$\Delta K_j(2) = (\delta_j(2) - 1) \Delta K_j(1),$$

$$\Delta K_j(3) = (\delta_j(3) - \delta_j(2)) \Delta K_j(1),$$

-----

$$\Delta K_j(T) = (\delta_j(T) - \delta_j(T-1)) \Delta K_j(1).$$

ამის გათვალისწინებით ჩავწერთ, რომ  $\Delta K_j = \delta_j(T) \cdot \Delta K_j(1)$ . ჩავსვათ ეს მნიშვნელობები (9)-ში, მივიღებთ:

$$\gamma_j(1) = \frac{1}{\delta_j(T)}, \quad \gamma_j(2) = \frac{\delta_j(2) - 1}{\delta_j(T)}, \dots, \quad \gamma_j(T) = \frac{\delta_j(T) - \delta_j(T-1)}{\delta_j(T)}. \quad (10)$$

ეს ფორმულები გვიჩვენებენ, რომ  $\delta_j(t)$  პარამეტრები ცალსახად განსაზღვრავენ  $\gamma_j(t)$  სტრუქტურულ კოეფიციენტებს და პირიქით, თუ მოცემული გვაქვს  $\gamma_j(t)$  კოეფიციენტები, მაშინ აღვიღად შეიძლება მტკილოთ შესაბამისი  $\delta_j(t)$  პარამეტრები. მაშასადამე, შევეძლია დაგასავნათ, რომ კაპიტალდაბანდებების ზრდის კანონის (5)-ის სახით წარმოადგენა მავიგალენტურია საგეგმო პერიოდში კაპიტალდაბანდებების ნაზრდების განაწილების სტრუქტურის ეგზოგენური მოცემისა.

საგუგმო პერიოდში კაპიტალდაბანდებების განაწილების ხტრუქ ქტრუა ეგზოგენურად დაფიქსირებულია, აგრეთვე, ლ. სატუნოვსკის უკურეულსიან დინამიკურ მოდელში [3]. თუმცა ზემოთ აღნიშნული მიღებობისაგან განსხვავებით ლ. სატუნოვსკი ეგზოგენურად მოცემულად თვლის არა კაპიტალდაბანდებების ნაზრდების, არამედ მთლიანი მოცულობების წლების მიხედვით განაწილების სტრუქტურას:

$$\alpha_j(t) = K_j(t)/K_j, \quad t = 1, 2, \dots, T,$$

სადაც  $K_j = \sum_{t=1}^T K_j(t)$ . ადვილად შევნიშნავთ, რომ ამ პირობებში

კაპიტალდაბანდებების ზრდის ფუნქციას აქვს სახე

$$K_j(t) = K_j(0) \cdot \bar{\delta}_j(t) \cdot \bar{\sigma}_j, \quad t = 1, 2, \dots, T,$$

სადაც  $\bar{\sigma}_j = K_j(1)/K_j(0)$  და  $\bar{\delta}_j(t) = K_j(t)/K_j(1)$   $t = 1, 2, \dots, T$ . ეს

უკანასკნელი სტრუქტურულ ა, (t) კოეფიციენტებთან შემდეგ დამოკიდებულებაში იმყოფებიან

$$\bar{\delta}_j(t) = \alpha_j(t)/\alpha_j(1), \quad t = 1, 2, \dots, T.$$

მართალია აქ განხილული ორივე მიღებობა უკურეულსიანი მოდელის აგების საშუალებას იძლევა, მაგრამ არ შეიძლება არ მიუვთითოთ მათ არსებით ნაკლებ. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობდა დირექტიული მითიობები, კაპიტალდაბანდებები დარგთაშორისი ბალანსის მოდელში შემავალ მაჩვნებლებს შორის არამდგრადობით გამოირჩეოდნენ. ეს არამდგრადობა უფრო ძლიერდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რადგან კაპიტალდაბანდებების სიდიდეზე, სხვა ფაქტორებთან კრთად, ზემოქმედებს მოგების ცვალებადობა, ინენერორთა მოლოდინის არამდგრადობა, ახალი აღმოჩენების დანერგვის არარეგულარული ხასიათი და ა.შ. ყველაფერი ეს, ერთი მხრივ, იმაზე მოუთითებს, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის კაპიტალდაბანდებების ზრდის ზემოთ განხილული კანონები ნაკლებად მისაღებია და, მეორე, ამ კანონებში შემავალ ეგზოგენურ პარამეტრთა პროგნოზირება საშუალო და, მით უმეტეს, გრძელვადიანი პერიოდისათვის არ, უნდა იყოს ადეილად გადასაწყვეტი პრობლემა.

დინამიკაში დარგთაშორისი ბალანსის მოცულობითი მახასიათებლებიდან ზრდის ტემპის შედარებითი მდგრადობით გამორჩევა მთლიანი გამოშევებისა და ძირითადი ფონდების მოცულობები. ამიტომ ბუნებრივია, რაიმე პიპოთების დაშვება მთლიანი გამოშევების ან ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპების მიმართ უფრო გამართლებულია და ნაკლებ ცდომილებებს მოგეცემს, ვიდრე ანალიგიური პიპოთების გამოყენება კაპიტალდაბანდებების ზრდის ტემპების მიმართ. სწორედ ეს გარემოება უდევს საფუძვლად უკურეულსიან მოდელებს, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.



II. საბეგმო პერიოდის პოლო ყლის დარბთაშორისი მოდელი  
რებულინების პარამეტრებით <sup>3</sup>

მთავარი დაშვება, რომელზედაც იგება ქემორ შემოთავაზებული  
მოდელის განტოლებათა სისტემა ბოლო წლისათვის და რომლითაც  
იგი არსებითად განსხვავდება სხვა ანალოგიური ტიპის  
მოდელებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ საგეგმო პერიოდის ბოლო  
წლისათვის დარგების მიხედვით უზრუნველყოფა მოიცემა მირითადი  
საწარმოო ფონდების სრდის ტემპი  $P_j^*$ , რომელიც განიხილება  
როგორც რეგულირების პარამეტრი:

$$P_j^* = \Phi_j(T+1)/\Phi_j(T). \quad (11)$$

(11)-ში  $\Phi_j(T)$  და  $\Phi_j(T+1)$  შესაბამისად არის ძირითადი საწარმოო  
ფონდების მოცულობა საგეგმო პერიოდის ბოლო წლის დასაწყისში  
და დასასრულში.  $P_j^*$ -ს ფორმირებას ყოველი დარგისათვის შეიძლება  
საუძველეს დავუდოთ, მაგალითად, რეტროსპექტივაში ძირითადი  
საწარმოო ფონდების სრდის საშუალო ტემპი. ასეთი მიღობა  
რამდენადმე აადვილებს მოდელის ინფორმაციულ უზრუნველყოფას,  
მოსახერხებელს ხდის მის გამოყენებას საშუალო და გრძელვადიანი  
პროგნოზირებისათვის და ქმნის პირობებს კარიანტული  
გაანგარიშებისათვის.

შემდეგ ში ვიგულისხმებთ, რომ განსახილველ მოდელში  
ფონდტევადობის კოეფიციენტები  $f_j$  გაიანგარიშება წლის  
ბოლოსათვის არსებული ფონდების მიხედვით, კერძოდ,  
 $f_j = \Phi_j(T+1)/X_j(T)$ . მაშინ (11)-ის გათვალისწინებით (2)-დან  
გარევაული გარდაქმნების შედეგად  $j$  დარგისათვის მივიღებთ

$$K_j = \frac{\omega_j [P_j^* - (1-g_j)f_j]}{P_j^*} \cdot X_j. \quad (12)$$

როგორც ვხედავთ, (12) საგეგმო პერიოდის ბოლო წლისათვის  
ამყარებს უუნქციონალურ კავშირს  $j$  დარგის მთლიან გამოშვებას  
 $X_j$ -ს და ამავე დარგში განხორციელებულ კაპიტალდაბდებების  
სიდიდეს  $K_j$ -ს შორის. ეს კავშირი პირდაპირპორციული  
ხასიათისაა, მაგრამ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია  $P_j^*$  პარამეტრზე.  
კერძოდ, (12)-დან ვღებულობთ, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, რაც  
უფრო მაღალია  $P_j^*$ -ს მნიშვნელობა მით დიდია  $K_j$  და პირიქით –  
 $P_j^*$ -ს მცირე მნიშვნელობას შეესაბამება  $K_j$ -ს მცირე მნიშვნელობა.  
 $P_j^*$ -ს ქვედა საზღვრად, ცხადია, უნდა მივიღოთ მისი ის მნიშვნელობა,  
რომლისათვისაც  $K_j=0$ . ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია მაშინ,

<sup>3</sup> ეს მოდელი წარმოადგენს [4]-ში შემოთავაზებული მოდელის გარკვეულ  
განვითარებას

როცა  $P_j^* = (1 - g_j)$ . მაშასადამე,  $T$  წელში ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა ერთხე ნაკლებია და ემთხვევა მოცემულ წელს ფონდების შენახვის კოეფიციენტს  $(1 - g_j)$ -ს.  $P_j^*$ -ს ზედა საზღვრის დადგენა მხოლოდ (12) ფორმულის საფუძველზე მისანშეწონილი არ არის. იგი მოითხოვს დარგთაშორისი კაშირების განხილვას, ამიტომ ამ საკითხზე უკრადდებას მოგვიანებით გავამახვილებთ.

ჩაწერის სიმარტივისათვის შემოვიდოთ აღნიშვნა:

$$\mu_j = (P_j^* - (1 - g_j)) / P_j^*. \quad (13)$$

ავსნათ, თუ რას გამოსახავს უკონომიკურად  $\mu_j$ . ამ მიზნით (13)-ში გავითვალისწინოთ  $P_j^*$ -ს მნიშვნელობა (11)-დან. გვექნება:

$$\mu_j = (\Phi_j(T+1) - (1 - g_j)\Phi_j(T)) / \Phi_j(T+1).$$

მიღებული გამოსახახულება გვიჩვენებს, რომ  $\mu_j$  გამოსახავს  $T$  წელში ამოქმედებული ფონდების წილს ამავე წლის ბოლოსათვის არსებული ფონდების მთლიან მოცულობაში. მაშასადამე,  $\mu_j$  უკონომიკურად შეიძლება აეხსნათ როგორც ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების მაჩვენებელი. როგორც ვხედავთ, ეს მაჩვენებელი განისაზღვრება, ერთი მხრივ,  $T$  წელში ძირითადი ფონდების ზრდის ტემპით, მეორე მხრივ ძირითადი ფონდების მოქმედებიდან გასვლის კოეფიციენტით და მოთავსებულია 0-სა და 1-ს შორის საზღვრებში. ამასთან, რაც დიდია  $P_j^*$  და  $g_j$  პარამეტრების მნიშვნელობა, მით მაღალია ძირითადი ფონდების განახლების ხარისხი (მაჩვენებელი). (13) გვიჩვენებს, რომ თუ მოცემულია  $P_j^*$ , მაშინ მოცემულად უნდა ჩავთვალოთ, აგრეთვე  $\mu_j$  და, პირიქით,  $\mu_j$ -ს საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ  $P_j^*$ . ცხადია  $\mu_j$ -ს შებრუნებული სიდიდე  $1/\mu_j$ , წარმოადგენს ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების ვადას.

თუ დავუკრძონობით  $\mu_j$ -ს მოვყანილ. ინტერპრეტაციას. აგრეთვე, იმას, რომ ფონდტევადობის კოეფიციენტი  $f_j$  არის პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად საჭირო ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო რაოდენობა, ადგილად შეენიშნავთ, რომ (12)-ში ნამრავლი  $\mu_j f_j$  შინაარსობრივად გვიჩვენებს პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად საჭირო ძირითადი ფონდების საშუალო რაოდენობაში განახლებული ძირითადი ფონდების წილს, ხოლო  $\varphi_j \mu_j f_j$  კი არის ამ განახლებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდების სიდიდე.

(13)-ის გათვალისწინებით: (12) მიიღებს შემდეგ სახეს

$$K_j = \varphi_j \mu_j f_j X_j.$$



განვიხილოთ ეს გამოსახულება ქველა  $j$ -სათვის ( $j=1,2,\dots,n$ ) და ერთდროულად ჩავწეროთ იგი გვეტორულ-მატრიცული სახით. გვექნება

$$K = WMX, \quad (14)$$

სადაც  $M$  არის  $\mu_j$  კოეფიციენტების დიაგონალური მატრიცა. (14) გავაერთიანოთ (1)-(3) სისტემასთან. მაშინ მივიღებთ საგვამო პერიოდის ბოლო წლის მოდელს, რომელშიც განტოლებეთა და ჟცნობთა რიცხვი ერთმანეთის ტოლია.

მოყვანილი მოდელის თეოსებების შესწავლა ძირითადად დაიყვანება ( $A + BWMF$ ) მატრიცის ოვისებების გამოკვლევაზე. ძნელი არ არის ვაჩერენოთ, რომ (1)-(3), (14) მოდელის პროდუქტიულობისათვის [5] აუცილებელი და საქმარისია ( $A + BWMF$ ) მატრიცის პროდუქტიულობა. თავის მხრივ აღნიშნული მატრიცის პროდუქტიულობის უნარი არსებითადაა დამოკიდებული  $M$  მატრიცაზე ანუ ძირითადი ფონდების ზრდის ტემპების  $P_j^*$ ,  $j=1,2,\dots,n$  მნიშვნელობებზე. ვაჩერენოთ  $P_j^*$  სიღილეების ცელილების რა საზღვრებში ინარჩუნებს ( $A + BWMF$ ) მატრიცა პროდუქტიულობის უნარს. ამ მიზნით განვიხილოთ მატრიცის პროდუქტიულობის ბრაუნ-სოლოუს საკმარისი პირობა [6, გვ.131], რომელიც ჩვენს შემთხვევაში შემდეგნაირად ჩაიწერება

$$\sum_{i=1}^n (a_{ij} + b_{ij}\omega_j\mu_j f_j) \begin{cases} \leq 1, j = 1, 2, \dots, n; \\ < 1, ერთი მაინც j - სათვის. \end{cases}$$

ჩავსეათ ამ სისტემაში  $\mu_j$ -ს მნიშვნელობა (13)-დან. ერთდროულად გავითვალისწინოთ, რომ კაპიტალდაბანდებების ტექნოლოგიური სტრუქტურის კოეფიციენტები  $b_{ij}$  აქმაყოფილებენ პირობას  $\sum_{i=1}^n b_{ij} = 1$ . მაშინ, მარტივი გარდაქმნების შემდეგ ნებისმიერი  $j$ -სათვის გვექნება

$$\frac{1}{P_j^*} \geq \frac{\sum_{i=1}^n a_{ij} + \omega_j f_j - 1}{\omega_j (1 - g_j) f_j}. \quad (15)$$

აქედან გამომდინარეობს: თუ  $\sum_{i=1}^n a_{ij} + \omega_j f_j < 1$ , ე.ი. თუ  $j$  დარგის პროდუქციის დამატებითი ერთეულის საწარმოებლად საჭირო წარმოების საშუალებების დანახარჯები ერთზე ნაკლებია, მაშინ (15) პირობის მარჯვენა ნაწილი უარყოფითია და (15) სამართლიანია  $P_j^*$ -ს ნებისმიერი დადებითი მნიშვნელობისათვის. ამ შემთხვევაში  $P_j^*$ -ს დასაშვები მნიშვნელობა ზემოდან არ არის შემოზღუდული. მაგრამ

თუ  $\sum_{i=1}^n a_i + \omega_j f_j > 1$ , მაშინ (15) უტოლობა შეგვიძლია შემდეგნაირად გარდავქმნათ

$$P_j^* \leq \frac{\omega_j(1-g_j)f_j}{\sum_{i=1}^n a_i + \omega_j f_j - 1} = \frac{\omega_j f_j - g_j f_j}{\omega_j f_j - (1 - \sum_{i=1}^n a_i)} = \bar{P}_j^*. \quad (16)$$

მაშასადამე, (1)-(3), (14) მოდელის პროცესიელობისათვის საქმარისია  $P_j^*$  სიღიღები ისე შეგარჩიოთ, რომ დარგებისათვის, რომელთათვისაც აღგილი აქვს პირობას  $\sum_{i=1}^n a_i + \omega_j f_j > 1$ , შესრულდეს მე-(16) უტოლობა.

ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ როცა  $g_j f_j < 1 - \sum_{i=1}^n a_i$ ,

მაშინ  $P_j^*$ -ს დასაშენები ზედა საზღვარი  $\bar{P}_j^*$  მეტია ერთსე. როგორც წესი,  $g_j$  კოეფიციენტები იმდენად მცირეა, რომ ეს უტოლობა თითქმის ყოველთვის სრულდება, ამიტომ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ  $\bar{P}_j^* > 1$ .

(1)-(3), (14) მოდელის პირობებში შეიძლება გავაანალიზოთ ერთი საინტერესო დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ძირითადი ფონდების განახლების  $\mu$ , მაჩვენებელსა და  $A + BWMF$  მატრიცის პროცესიელობას შორის. ასეთი ანალიზის ჩატარება შედარებით ადგილია შემთხვევისათვის, როცა ძირითადი ფონდების განახლების მაჩვენებელი მოდელში შემავალ ყველა დარგისათვის ერთი და იგივეა და შეადგენს  $\mu$ -ს. ამიტომ დაფუშვათ  $\mu_1 = \mu_2 = \dots = \mu_n = \mu$ . ამ პირობებში  $A + BWMF = A + \mu BWF$ . ჩაწერის შემოქმედებისათვის შემოედოთ აღნიშვნა  $S = BWF$ . მაშინ შეგვიძლია ვაჩვენოთ [იხ. მაგ. 6], რომ  $A + \mu S$  პროცესიელია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა  $1/\mu \geq 1/\mu^*$ , სადაც  $1/\mu^*$  წარმოადგენს  $(E - A)^{-1}S$  მატრიცის მაქსიმალურ საკუთარ რიცხვს.

მ. გერმენიშვილისა და ბ. მირკინის ნაშრომში [7]  $(E - A)^{-1}S$  მატრიცის მაქსიმალური საკუთარი რიცხვი  $1/\mu^*$  ასენილია როგორც კაპიტალური დანახარჯების გამოსყიდვის მინიმალურად შესაძლებელი ვადა, ხოლო პარამეტრი  $\mu^*$ -როგორც კაპიტალური დანახარჯების გამოსყიდვის მაქსიმალური მაჩვენებელი. თუ ჩვენც მოვიდებთ ასეთ ინტერპრეტაციას, მაშინ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,  $A + BWMF$  მატრიცის პროცესიელობისათვის აუცილებელი და საქმარისია, რომ ძირითადი ფონდების უაქტიური მაჩვენებელი  $\mu$  არ აღმატებოდეს კაპიტალური დანახარჯების გამოსყიდვის მაქსიმალურ მაჩვენებელს.

საქართველოსათვის ჩატარებულმა გაანგარიშებებმა გეირვენეს, რომ მაგალითად, 70-იან წლებში 16 დარგიანი მოდელის ჭრილში



კაპიტალურ დანახარჯთა გამოსყიდვის მაქსიმალური მაჩევნებელი  $\mu$  დაახლოებით 0,25-ის ტოლი იყო. ამავე დროს ძირითადი ფონდების განახლების საშუალოდარღობრივი მაჩევნებელი 0,04–0,07-ის უარგლებში იცვლებოდა. ეს კი ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში A + BWMF მატრიცის პროდუქტიულობის პირობა დიდი მარაგით სრულდებოდა.

ჩავთვალოთ, რომ A + BWMF წარმოადგენს პროდუქტიულ მატრიცას, მაშინ შებრუნებული მატრიცა  $D = (E - A - BWMF)^{-1}$  არაუარყოფითია და მის ელემენტს  $d_{ij}$ -ს პირობითად შეიძლება ვერდორთ დაყვანილი სრული დანახარჯი 1 დარგის პროდუქტისა 1 დარგის ერთეული წმინდა ხაბოლოო პროდუქტის გამოშეებაზე. ამ შემთხვევაში ცნება “დაყვანილი სრული დანახარჯი” იმ ოვალსასრისთ იხმარება, რომ კოეფიციენტი  $d_{ij}$  შეიცავს არა მარტო 1 დარგის პროდუქტის აუცილებელ სრულ დანახარჯს 1 დარგის ერთეული წმინდა ხაბოლოო პროდუქტის წარმოებაზე შრომის საგნებისა და მომსახურების სახით; მასში შედის; აგრეთვე, 1 დარგის პროდუქტის დანახარჯები, რომლებიც განაირობებულია მოცემული ნორმატივით 1 დარგში ძირითადი ფონდების განახლებისათვის საჭირო კაპიტალური სახსრების წარმოების აუცილებლობით.

### III. საბაზო კერიოდის ბოლო ფლის არამოვლი დარბიაზონისი მოდელი

განვიხილოთ ეიდევ ერთი პრინციპულად განსახვავებული მიღვომა, რომლის საშუალებითაც (1)–(3)<sup>o</sup> ერთი და იგივე რაოდენობის უცნობებისა და განტოლებების შემცველ სისტემაზე დაიყვანება. ეს მიღვომა, გარდა იმისა, რომ მეტად მარტივია, მართებულია საშუალოწლიური ზრდის ტემპების გაანგარიშებისათვის და ფართო ეკონომიკური ანალიზის საშუალებას იძლევა.

ადგნიშნოთ განსახილებულ საგეგმო პერიოდში დარგების მთლიანი გამოშეების საშუალოწლიური ზრდის ტემპების ეპეტორი P-თი. მაშინ, ცხადია, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს პირობას

$$X_T = \{X_j\} P^T,$$

სადაც  $X_T$  არის მთლიანი გამოშეების ეპეტორი ბოლო T წლისათვის;

$\{X_j\}$  – საბაზისო წლის მთლიან გამოშეებათა დიაგონალური მატრიცა;

$P^T$  – ეპეტორ-სეტი; რომლის ყველა ელემენტი T ხარისხშია, ე.ი.  $P^T = (P_j^T)_{n \times n}$ .

დავუშვათ, რომ საგეგმოს ბოლოს წინა T-1 წლისათვის მთლიანი გამოშეების ეპეტორი  $X_{T-1}$  განისაზღვრება, აგრეთვე, P – ეპეტორის საშუალებით:  $X_{T-1} = \{X_0\} P^{T-1}$ , სადაც  $P^{T-1}$  აღნიშნავს უკვე ეპეტორ-სეტს, რომლის ელემენტები T-1 ხარისხშია:  $P^{T-1} = (P_j^{T-1})_{n \times n}$ . მაშინ T

წლის დასაწყისში არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების  
ვაქტორი  $\Phi_T$  შეიძლება  $\tilde{Y}$  შემდგრაირად გამოვსახოთ  
 $\Phi_T = F_{T-1} \{X_0\} P^{T-1}$ . ამის გათვალისწინებით (1)-(3) გარდაიქმნება ასე: <sup>4</sup>

$$(E - A) \{X_0\} P^T - BK - \varepsilon \Delta Y = \tilde{Y},$$

$$F \{X_0\} P^T - W^{-1} K = (E - G) F \{X_0\} P^{T-1},$$

$$I \{X_0\} P^T = L.$$

მაშასადამე, მივიღეთ  $T$  ხარისხის არაწრფივი სისტემა, რომელშიც  $X$ -  
სა და  $\Phi$ -ის ნაცელად უცნობად გაიჩიდება წარმოების  
საშუალო წლიური ზრდის ტემპის ვაქტორი  $P$ . აღვილად შევნიშნავთ,  
რომ ეს სისტემა უცნობთა და განტოლებათა ერთი და იგივე რიცხვს  
შეიცავს, ამიტომ მასში შემავალი ყველა საძიებელი ცვლადი  
ენდოგენურად განისაზღვრება. გარეული გარდაქმნების შედეგად  
მოცემული სისტემა შემდეგ სახეზე დაიყვანება

$$(E - A - BWF) \{X_0\} P^T + BW(E - G) F \{X_0\} P^{T-1} - \varepsilon \Delta Y = \tilde{Y}, \quad (17)$$

$$K = WF \{X_0\} P^T - W(E - G) F \{X_0\} P^{T-1} \quad (18)$$

$$I \{X_0\} P^T = L. \quad (19)$$

(17)-(19)-ის ამოხსნისათვის შეიძლება გამოვიყენოთ არაწრფივ  
განტოლებათა ამოხსნის ნებისმიერი მიახლოებითი მეთოდი. მათგან  
განსაკუთრებით უკეტიანია ნიუტონ-ჯანტოროვიჩის მეთოდი [8].  
განვიხილოთ მისი არსი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევასათვის.  
აღვილად შევნიშნავთ, რომ (17)-(19)-ის ამოხსნის პროცესში მთავარი  
სირთულე მდგომარეობს  $P$  და  $\varepsilon$  ცვლადების განსაზღვრაში.  
ამასთან მოდელის კონსტრუქცია ისეთია, რომ მათი მიღებისათვის  
საკმარისია განვიხილოთ (17), (19) სისტემა.

დაგვუშვათ

$$\bar{P}^{(0)} = \begin{pmatrix} P^{(0)} \\ \varepsilon^{(0)} \end{pmatrix}$$

არის საწყისი მიახლოებითი მინიმუმი (17), (19)-ის ერთ-ერთი

$\bar{P} = \begin{pmatrix} P \\ \varepsilon \end{pmatrix}$  ფუსვისა. ეს მიახლოება შეიძლება სხვადასხვა წესით  
შევარჩიოთ. მათგან ერთ-ერთი ძირითადია შესაბამისი დარგების  
ზრდის ტენდენციების რეტროსპექტიული ანალიზი და გამოვლენილი  
საშუალო მახასიათებლების გარეული კორექტივებით გადატანა  
ჟერსპექტოვაზე.

გადავწეროთ (17), (19) შემდგენ სახით

<sup>4</sup> ისევე როგორც აღრვე ახლაც მოდელის დამოიდებულებათა სისტემა  
ჩაწერილია დროის ინდექსის  $T$ -ს გარეშე. გარდა ამისა, შემდგომი  
გამარტივების მიზნით, მიღებულია, რომ  $F_T = F_{T-1} = F$ .

$$H P^T + D P^{T-1} - \Delta Y \varepsilon - \tilde{Y} = 0, \quad (20)$$

$$C P^T - L = 0 \quad (21)$$

ანუ, თუ ვიხმართ გაშლილ ჩანაწერს, გვექნება

$$\Phi_i(P, \varepsilon) = \sum_{j=1}^n h_{ij} P_j^T + \sum_{j=1}^n d_{ij} P_j^{T-1} - \Delta Y_i \varepsilon - \tilde{Y}_i = 0, \quad i = 1, 2, \dots, n, \quad (22)$$

$$\varphi_{n+1}(P, \varepsilon) = \sum_{j=1}^n C_j P_j^T - L = 0, \quad (23)$$

სადაც  $H = (h_{ij})_{n \times n}$  არის პირობითი აღნიშვნა მატრიცის  $(E - A - BWF)\{X_0\}; D = (d_{ij})_{n \times n}$  - პირობითი აღნიშვნა მატრიცის  $BW(E - G)F\{X_0\}; C = (C_j)_{n \times 1}$  - პირობითი აღნიშვნა ვეკტორ-სტრიქონის  $\{X_0\}$ .

შევადგინოთ (22)-(23) სისტემისათვის იაკობის მატრიცა

$$U(\bar{P}) = \begin{pmatrix} \frac{\partial \varphi_1}{\partial P_1} & \frac{\partial \varphi_1}{\partial P_2} & \cdots & \frac{\partial \varphi_1}{\partial P_n} & \frac{\partial \varphi_1}{\partial \varepsilon} \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots & \vdots \\ \frac{\partial \varphi_n}{\partial P_1} & \frac{\partial \varphi_n}{\partial P_2} & \cdots & \frac{\partial \varphi_n}{\partial P_n} & \frac{\partial \varphi_n}{\partial \varepsilon} \\ \frac{\partial \varphi_{n+1}}{\partial P_1} & \frac{\partial \varphi_{n+1}}{\partial P_2} & \cdots & \frac{\partial \varphi_{n+1}}{\partial P_n} & \frac{\partial \varphi_{n+1}}{\partial \varepsilon} \end{pmatrix}.$$

რომლის ელემენტები შემდეგნაირად განისაზღვრება

$$\frac{\partial \varphi_i}{\partial P_j} = T \cdot h_{ij} P_j^{T-1} + (T-1)d_{ij} P_j^{T-2}, \quad i, j = 1, 2, \dots, n;$$

$$\frac{\partial \varphi_i}{\partial \varepsilon} = -\Delta Y_i, \quad i = 1, 2, \dots, n;$$

$$\frac{\partial \varphi_{n+1}}{\partial P_j} = T \cdot C_j P_j^T, \quad j = 1, 2, \dots, n; \quad \frac{\partial \varphi_{n+1}}{\partial \varepsilon} = 0.$$

გაშინ ნიუტონ-კანტოროვიჩის მეთოდი (22)-(23) სისტემისათვის აღიწევება შემდეგი რეკურენტული დამოკიდებულებით

$$\bar{P}^{(k+1)} = \bar{P}^{(k)} - U^{-1}(\bar{P}^{(k)}) \varphi(\bar{P}^{(k)}),$$

სადაც  $\xi$  არის იტერაციის ნომერი;  $\varphi(\bar{P}^{(k)})$  ექტორია, რომელიც გამოსასავს (22)-(23) სისტემის მარცხენა მხარის მნიშვნელობას  $\bar{P}^{(k)}$  ვექტორის დროს. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის პირობებში ზემოთ მოყვანილი სისტემის ამონასს ნების მოძებნა რამოდენიმე ათეული დარგის ჭრილში (რომ არაფერი ვთქვათ 16 დარგიან მოდელზე) დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

(17)-(19) მოდელის არაწრფივი ხასიათი განაპირობებს უზოგვერად მოცემული ცვლადების ერთი და იგივე მნიშვნელობებისათვის რამდენიმე ამონასს ნის არსებობას. ბუნებრივია, უკელა ამონასს ნი ეკონომიკურად მისაღები არ არის. ამის გამო საჭიროა გამოკვლეული იქნას მოდელის ამონასს ნების ხასიათი. ასეთი გამოკვლევა

მრავალდარგოვანი მოდელისათვის საკმაოდ რთულია ამიტომ, შემდეგში შემოვიყარგლებით კერძო შემთხვევით, როცა კეონომიკის ყველა დარგი გაერთიანებულია ერთ აგრეგატში. გარდა ამისა, ვიგულისხმოთ, რომ შრომითი რესურსების არსებული მოცულობა იმდენად დიდია, რომ მათზე შეზღუდვების გათვალისწინება აუცილებელი არ არის. ასეთ პირობებში (17)–(19) ვექტორულ-მატრიცული სისტემის ნაცვლად გვექნება T ხსრისხის ორუცნობიანი ორი განტოლება

$$(1 - a - wf)x_0 P^T + w(1 - g)fx_0 P^{T-1} - y = 0,$$

$$K = wfx_0 P^T - w(1 - g)fx_0 P^{T-1},$$

ან რაც იგივეა

$$hP^T + dP^{T-1} - y = 0, \quad (24)$$

$$K = \sigma P^T - dP^{T-1}, \quad (25)$$

სადაც  $y = \tilde{y} + \varepsilon \Delta y$ ,  $h = (1 - a - wf)x_0$ ;  $d = w(1 - g)fx_0$ ;  $\sigma = wfx_0$ .

(24) განტოლებას გააჩნია T ამონახესნი. მაგრამ, კეონომიკური არსიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ დადებითი ფესვები. როგორც უმაღლესი ალგებრიდანაა ცნობილი, ნამდვილი, მათ შორის დადებითი ფესვების არსებობა განისაზღვრება (24) განტოლების კოეფიციენტების ხასიათით. განმარტების თანახმად  $d > 0$ . რაც შეეხება  $h = (1 - a - wf)x_0$  სიდიდეს, იგი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დეკარტის თეორემის თანახმად [ვ.ვ. 174–175] T ხსრისხის ალგებრული განტოლების დადებითი ფესვების რიცხვი, მათი ჯერადობის გათვალისწინებით, ტოლია კოეფიციენტთა სისტემაში ნიშანთა მონაცემების რეცხვის (ნულის ტოლი კოეფიციენტები არ გაითვალისწინება), ან ნაკლებია ამ რიცხვზე დური რიცხვით. მაშასადამე, თუ (24)-ში  $h > 0$ , მაშინ ყველა კოეფიციენტი დადებითია და ნიშანთა მონაცემების რიცხვი ერთს შეადგენს. ამიტომ, ამ შემთხვევაში (24) განტოლებას ერთი დადებითი ფესვი გააჩნია, რომელიც წარმოადგენს  $y$ -ის ზრდად ფუნქციას, ე.ი. რაც მეტი იქნება მოცემულ წელში წმინდა საბოლოო გამოშევების უსილიდე, მით მეტი იქნება ეკონომიკის მთლიანი გამოშევების საშუალოწლიური ზრდის ტემპი. როცა  $h < 0$ , მაშინ (24)-ში კოეფიციენტების ნიშანთა მონაცემების რიცხვი უდრის 2-ს და, მაშასადამე, გამოსაკვლევ განტოლებას გააჩნია ან 2 დადებითი ფესვი, ან დადებითი ფესვი საერთოდ არა აქვს.<sup>5</sup>

უნდა აღნიშნოთ, რომ  $a$ ,  $w$  და  $f$  კოეფიციენტების საშუალო რეალური მნიშვნელობებისათვის სიდიდე  $a + w f$  რომელიც შინაარსობრივად გამოსახავს პროდუქციის დამატებითი ერთეულის მისაღებად საჭირო წარმოების საშუალებების რაოდენობას, ერთს

<sup>5</sup> დეკარტის თეორემიდან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ (24) განტოლებას განსახილებელ შემთხვევაში ( $h > 0$ ) უარყოფითი ფესვი არ გააჩნია



აღემატება. ამის გამო ერთულიციენტი  $h$  უარყოფითია. სწორედ ამიტომ დაწერილებით შეეჩერდეთ შემთხვევის განხილვაზე, როცა  $h < 0$ .

დაგუშვათ, მოცემული  $y$ -სათვის (24)-ს აქვს დადგბითი  $p^{(1)}$  და  $p^{(2)}$  უესვები, ამასთან  $p^{(1)} > p^{(2)}$ . იმისათვის, რომ ეს უესვები ეკონომიკურად მისაღები იქნას, ცხადია, მათ უნდა დააკმაყოფილონ, აგრეთვე მოთხოვნა  $K^{(1)} \geq 0$  და  $K^{(2)} \geq 0$ , სადაც  $K^{(1)}$  და  $K^{(2)}$  მიიღებიან (25)-დან და შესაბამისად წარმოადგენენ ბოლო წლისათვის კაპიტალდაბანდებების რაოდენობას მთლიანი გამოშვების ზრდის ტემპის  $p^{(1)}$  და  $p^{(2)}$  მნიშვნელობების დროს. განვვითოთ რა შემთხვევაშია ეკონომიკურად დასაშვები მოდელის ორი ამონასნის არსებობა. ამისათვის დაგუშვათ  $T = 2$ , მაშინ (24)-(25) გადაიქცევა შემდეგ კვადრატულ სისტემად  $\lambda P^2 - dP + y = 0$ , რომლის უესვებია სადაც  $K = \sigma P^2 - dP$ ,


$$P^{(1)} = \left( d + \sqrt{d^2 - 4\lambda y} \right) / 2\lambda, \quad P^{(2)} = \left( d - \sqrt{d^2 - 4\lambda y} \right) / 2\lambda; \quad (26)$$

$$K^{(1)} = \frac{(\sigma - \lambda)d}{2\lambda^2} \left( d + \sqrt{d^2 - 4\lambda y} \right) - \frac{\sigma}{\lambda} y,$$

$$K^{(2)} = \frac{(\sigma - \lambda)d}{2\lambda^2} \left( d - \sqrt{d^2 - 4\lambda y} \right) - \frac{\sigma}{\lambda} y, \quad (27)$$

$$\text{სადაც } \lambda = -h = (a + wf - 1)x_0 > 0.$$

(26)-დან გამომდინარეობს, რომ  $P^{(1)}$  და  $P^{(2)}$  უესვებისათვის  $y$ -ის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლეა  $[0, d^2 / 4\lambda]$  და ამ სიმრავლეზე  $y$ -ის მიმართ  $p^{(1)}$  ქლებადი, ხოლო  $p^{(2)}$  ზრდადი უუნქცია (იხ. ნახ. 1). ამასთან,  $y = d^2 / 4\lambda$  წერტილში  $p^{(1)}$ -ის და  $p^{(2)}$ -ის მნიშვნელობა ერთმანეთის ტოლია და შეადგენს  $P^* = d / 2\lambda$ .




ნახ. 1 მთლიანი გამოშვების საშუალოწლიური ზრდის ტემპის დამოკიდებულება წმინდა საბოლოო პროდუქტის მნიშვნელობაზე

მეორე მხრივ, რადგან  $\sigma - \lambda > 0^6$ , ამიტომ  $[0, d^2/4\lambda]$  შუალედში  $K^{(1)}$  წარმოადგენს  $y$ -ის კლებად უზუნქციას, ხოლო  $K^{(2)}$  ქვემოთ ჩასწორილი უზუნქციაა, რომელიც კლებადია  $[0, \hat{y}]$  შუალედში და ზრდადია  $[\hat{y}, d^2/4\lambda]$  შუალედში, სადაც  $\hat{y} = (2\sigma - \lambda)d^2/4\lambda^2$ . გარდა ამისა,  $y = d^2/4\lambda$  წერტილში, მსგავსად  $p^{(1)}$  და  $p^{(2)}$  ცესვებისა, ერთმანეთის ტოლია, აგრეთვე  $K^{(1)}$  და  $K^{(2)}$ . აღნიშნოთ ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა მოცემულ  $y = d^2/4\lambda$  წერტილში  $K^*$ -ით. მაშინ ჩავწერთ

$$K^* = (\sigma - 2\lambda)d^2/4\lambda^2.$$

ნახ. 2-ზე წარმოდგენილია  $K^{(1)}$  და  $K^{(2)}$ -ის გრაფიკები  $y$ -ის ცვლილების  $[0, d^2/4\lambda]$  შუალედისათვის. ნახ. 2a აღწერს სიტუაციას, როცა  $(\sigma - 2\lambda)$  დადგებითია, ხოლო ნახ. 2b - როცა  $(\sigma - 2\lambda)$  უარყოფითია. ორივე ნახაზზე  $y^0$  წერტილი განისაზღვრება უორმულით  $y^0 = (\sigma - \lambda)d^2/\sigma^2$ .



ნახ. 2. საგეგმო პერიოდის ბოლო წლის კაპიტალდაბენდებების დამოკიდებულება ამავე წლის წმინდა საბოლოო პროდუქტის მოცულობაზე

ჩატარებული გამოკვლევიდან, აგრეთვე, ნახ. 1-ზე და ნახ. 2-ზე წარმოდგენილი გრაფიკების უბრალო ვიზუალური ანალიზიდან აშკარად გამომდინარეობს შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა: იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორია ტექნოლოგიური  $a$ ,  $w$  და  $f$

<sup>6</sup> ამაში ადეილად დაერწმუნდებით თუ სხეაობაში  $\sigma - \lambda$  გაეითვალისწინებთ  $\sigma$ -სა და  $\lambda$ -ს მნიშვნელობებს. მართლაც  $\sigma - \lambda = wf x_0 - (a + wf - 1)x_0 = (1 - a)x_0 > 0$ .



პარამეტრები მოცუმული უ-სათვის მოდელს შეიძლება გაანიდეს ერთ ან ორი ეკონომიკურად დასაშვები ამონასინი კერძოდ, თუ  $\sigma < 2\lambda$  ანუ, რაც იგივეა, თუ  $1 - \alpha < \omega/2$ , მაშინ ბოლო წლის შესაბამის განტოლებათა სისტემას ეკონომიკურად დასაშვები ერთი  $p^{(1)}$  და  $K^{(1)}$  ამონასინი გააჩნია (ნახ 2 ბ). ამასთან, ეს ამონასინი არხებობს მხოლოდ უ-ის ცვლილების  $[0, y^0]$  შეაღებიში. ცხადია მოცუმულ შეაღებში  $p^{(1)} - \lambda$ ,  $K^{(1)} - \lambda$  და  $y - \lambda$  მორის არსებული დამოკიდებულება ასახავს ცონტრი კანონზომიერებას მოხმარებას, დაგროვებასა და მოლიანი გამოშვების ზრდის ტემპს მორის: სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო ნაკლები გამოიყენება მოხმარებისათვის, მით დიდია დაგროვება და მაშასადამც წარმოების ზრდის ტემპიც.

ასეთივე კანონზომიერებით ხასიათდება  $p^{(1)}, K^{(1)}$  ამონასინი, რომელიც მოიღება შემთხვევისათვის, როცა  $\sigma > 2\lambda$  (ანუ როცა  $1 - \alpha > \omega/2$ ). როგორც ნახ. 2ა გვიჩვენებს, თუ  $y \in [0, y^0]$ , მაშინ  $p^{(1)}, K^{(1)}$  ერთადერთი დასაშვები ამონასინია; მაგრამ როცა  $y \in [y^0, d^2/4\lambda]$ , მაშინ მოდელს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეკონომიკურად დასაშვები  $p^{(1)}, K^{(1)}$  და  $p^{(2)}, K^{(2)}$  ამონასინი გააჩნია ამასთან  $p^{(1)} > p^{(2)}$  და  $K^{(1)} > K^{(2)}$ . გარდა ამისა მოცუმულ  $[y^0, d^2/4\lambda]$  შეაღებში  $y$ -ის ზრდას მოსდევს  $p^{(2)}$ -ისა და  $K^{(2)}$ -ის ზრდა მაშინ როცა  $p^{(1)}$  და  $K^{(1)}$  ქლებულობს. ეს შემთხვევა რომელიც შეიძლება ითქვას დღემდე არ განიხილება ეკონომიკურ ლიტერატურაში, მეტად საინტერესოა. რადგანაც იგი გვიჩვენებს, რომ მოცუმული სიღრიძის წილიდა საბოლოო პროდუქტის წარმოება შეიძლება მოხდეს ორი განსხვავებული გზით, რომელთაგანაც ერთს მეორესთან შედარებით როგორც მთლიანი გამოშვების, ისე კაპიტალდაბანდებების მეტი მნიშვნელობა შევსაბამება. ცხადია, თუარ შრომითი და ბუნებრივი რესურსების არსებული რაოდენობა მოცუმული  $y$ -სათვის საშუალებას მოგვცემს ავირჩიოთ  $p^{(1)}, K^{(1)}$  ამონასინი, მაშინ მას ყოველთვის უპირატესობა უნდა მიერანგოთ თუნდაც იმის გამო, რომ სხვა თანაბარ პირობებში მეტი კაპიტალდაბანდება მომავლისათვის უკოეს საფუძველს ჰქნის ძლიერი ეკონომიკური ზრდისათვის.

#### დ ა ტ უ ნ ა ტ უ რ ა

1. Гранберг А.Г. *Оптимизация территориальных пропорций народного хозяйства*. М., Экономика, 1973 г.
2. Смехов Б.М., Уринсон Я.М. *Методы оптимизации народно-хозяйственного плана*. М., Экономика, 1976 г.
3. Сатуновский А.М. *Межотраслевые модели территориального планирования*. Вильнюс, Минтис, 1973 г.

4. А나анишвили Ю.Ш. *О системе региональных динамических межотраслевых моделей*. Экономика и математические методы, т. 18, вып. 5, 1982 г.
5. Папава В.Г. *Эффективность общественного производства и межотраслевые модели*. Тбилиси, Меццинсерба, 1988 г.
6. Нисайдо Х. *Выпуклые структуры и математическая экономика*. М., Мир, 1972 г.
7. Гершензон М.А. *Анализ упрощенных динамических моделей межотраслевого баланса*. Новосибирск, Наука, 1975 г.
8. Демидович Б.П., Марон И.А. *Основы вычислительной математики*. М., Наука, 1970 г.

## Two Variants of the Back-Recursive Model of Forecasting of an Average Annual Growth Rates and Intersectoral Proportions

Ananiashvili Iuri

Iv. Djavakhishvili Tbilisi State University  
2, University Str., Tbilisi, 380002, Georgia

**Summary.** In this paper is discussed the model of an intersectoral balance during the last year of a planned period, as a main instrument to forecast the levels of an average annual growth rates. When we construct such model we have one problem: how to form the balance of main productive funds. To settle this problem we traditionally use some hypothesis about the changes of investments. But such hypotheses are useless to model free market economy, because the dynamics of investments is characterized as very volatile. As a result, two variants of intersectoral models are offered during the last year. In one of them the rate of a main production growth during the last year of a planned period is exogenously given. It is thought to be the parameter of regulation. In the second one it is considered, that the rate of the whole production growth during the last and the previous years of a planned period is the same, and is equal to the rate of an average annual growth in a planned period. Economic-mathematical properties of given variants of the back-recursive model are investigated.

## Два варианта обратнорекурсивной модели прогнозирования среднегодовых темпов роста и межотраслевых пропорций

Ананиашвили Юрий  
380002, Тбилиси, ул. Университетская 2  
Тбилисский Государственный университет  
им. И. Джавахишвили

**Резюме.** В статье в качестве основного инструмента прогнозирования среднегодовых темпов роста рассматривается модель межотраслевого баланса последнего года планового периода. При построении такой модели возникает проблема формирования баланса основных производственных фондов. Ее решение традиционно основывается на определенных математических гипотезах или законах динамики капитальных вложений. Однако, для моделирования рыночной экономики, в которой динамика капитальных вложений характеризуется особой неустойчивостью, такие гипотезы неприемлемы. Исходя из этого предложены два варианта межотраслевой модели последнего года. В одном из них экзогенно задаются темпы роста основных производственных фондов для последнего года, которые рассматриваются как параметры регулирования. Во втором варианте предполагается, что темпы роста валовых выпусков в последнем и в предпоследнем годах приблизительно одинаковы и равны среднегодовому темпу роста для планового периода. Исследованы экономико-математические свойства предложенных вариантов обратнорекурсивной модели.

## წესები აკტორთათვის

1. ქურნალში საქართველოს მცნიერებათა აკადემიის "მაცნე" ეკონომიკის სერია, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქაუნდება სტატიები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე მოწინავე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კალენდების შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრძელება იმ კონცერნების, სხდომებისა და სხვა სამცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები, რომლებიც რესპუბლიკაში ტარდება.

2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ, თანაავტორობის შემთხვევაში კი - კველა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო აღგილის, სამცნიერო ხარისხისა და წრიდების, სრული ხაფოსტო მისამართის, ტელეფონის, ტელეფაქსის მითითებით.

3. სტატიის მოცულითა, გამოყენებული ლიტერატურის ნაშრობათვალი, რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღმატებოდეს ნაბეჭდი ტექსტის 24 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 2 ინტერვალით. მარცხენა მხარეს დატოვებული უნდა იყოს 4 სტ სიგანის მინდორი.

რეზიუმე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახაზების მინაწერები სრულდება ცალკე უურცელზე.

მოკლე მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღმატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია წორ ეგზემპლარად. ხელნაწერის ყოველი გვერდი, ლიტერატურის სიის ჩათვლით, უნდა იყოს დანომრილი.

4. ილუსტრაციები (ორ ეგზემპლარად) ცალკე უნდა ახლდეს ნაშრომს. ნახაზები და გრაფიკები შესრულებული უნდა იყოს მეცნიერობის ტემით, კალკაზე ან მილიმეტრიან ქაღალდზე. ფანჯრით შესრულებული, ტექსტში ჩახაზული, ან ხელნაწერზე დაწებებული ნახაზები არ მიიღება. აუცილებლად უნდა მიეკცეს ყურადღება აღნიშვნების იღენტურობას ტექსტში და ნახაზზე. ყველა მინაწერი, რომელიც უარავს ნახაზს უნდა შეიცვალოს ციფრობრივი, ან ასოთით აღნიშვნით, განმარტებები კი ჩამოტანილ იქნეს ნახაზის მინაწერში.

5. ყოველი ილუსტრაციის მეორე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს მისი რიგობრივი ნომერი და აკტორების გვარები.

6. ფორმულები და განმარტებები თუ ჩაწერილია ხელით, უნდა შესრულდეს გარეევით, ინდექსის ჩაწერისას კარგად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან შტრიხი, ერთიანი და მძიმე, უორმულების ჩაწერისას კარგად უნდა ჩანდეს განსხვავება დიდ და პატარა ასოებს შორის: თუ მათ ერთნაირი მოხაზულობა აქვთ, დიდ ასოს უანჯრით უნდა გაუსვათ ხაზი ქვემოდან (მაგ. ქ). განსაკუთრებით ზუსტად უნდა ჩაიწეროს ერთმანეთის მსგავსი ასოები (გ და გ, ლა ლ, ლ და ლ და სხვა)

7. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (რეცენზიებში, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს

რუბრიკით ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ლიტერატურა დასახელდება გვერდის სქოლიში)

წიგნებისთვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის აღგილი, გამომცემლობა, წელი.

საფურნალო სტატიისათვის — ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ფურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამოშვება).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგ. [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ფურნალის) სატიტულო ფურცელს.

8. ავტორთა საფურადებოდოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ სტატიის ტექსტსა და ნახატებს უნდა ჰქონდეს მინაწერი დასაბუქდად. როგორც წესი ქორექტურა ავტორებს არ ეგზაგნებათ.

9. სასურველია სტატიაში აღინიშნოს — რით გასხვავდება მიღებული შედეგი აღრე ცნობილისაგან.

10. ფურნალში ხტატიები გამოქვეყნდება რედაქციის შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღდად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ფურნალის ერთ ნომერში შეიძლება ავტორის ერთი სტატიის ან ერთი მოქლე შეტყობინების გამოქვეყნება.

11. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს ავტორს ერთი ვეზემპლიარი.

12. ხელნაწერები, რომლებიც არ უსასუებს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

## INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal "Proceedings" of the Georgian Academy of Sciences: Economic Series publishes articles in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars etc. held in the Republic.

2. An original article sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and telex.

3. Volume of an article, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 24 typewritten lines with double spacing. On the left hand side 4 cm margins should be left.

Summary, list of references, tables and signs under illustrations should be submitted separately.

A volume of short notes should not exceed 7 typewritten lines.

Two copies of papers should be sent to the publisher. All pages of manuscripts, including references should be numbered.

4. Illustrations (two copies) should be submitted separately.

Drawings and drafts should be filled legibly with Indian ink on tracing paper or squared paper. Drafts in pencils, drawn in texts or pasted onto manuscripts are not accepted. It is necessary to keep an eye on exact accordance of designations in texts and drafts. All legends, overloading drafts should be substituted by figures or letters, explanations of them should be moved to inscriptions under illustrations.

5. On the back of each illustration its ordinal number and authors' names should be written down.

6. Formulas and designations should be handwritten by ink, legibly, large and loosely. Subindexes should be avoided as far as possible.

When marking indexes it is necessary to differ strokes and numeral-units from commas.

When writing formulas it is necessary to differentiate strictly between small and capital letters. This requirement is applied especially to the letters of the same inscription distinguishing only by their size: capital letters are underlined with line below (for example, X).

It is necessary to write carefully the letters looking alike (g and q, l and e, u and n etc.).

7. Literature is listed as a general list at the end of an article (in the reviews published in the section "Criticism and Bibliography" literature is given in footnotes) in the following order: books, 1st 2nd and 3rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year of publication.

Journal articles: books, 1st, 2nd, 3rd names of the author, article's title, year of publication, volume, issue.

Literature is listed following the sequence of references in the text of an article. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic description of each title in the list of literature must correspond strictly to the title-page of a book or a journal.

8. The editorial staff calls your attention to the fact that a typed text and drawing ready for type-setting signed "ready for printing" and proof-sheets for reading, as a rule, are not sent back to authors.

9. It is advisable to mention in an article the distinctive features of the given result from all the others already known.

10. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration. In one issue of a journal only one article or one brief report of an author is published.

11. In case of a refusal to publish an article, the editorial staff reserves the right not to return one copy of an article to author.

12. The manuscripts not meeting these requirements are not taken for consideration by editorial staff.

## ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале "Известия" АН Грузии: серия экономическая публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки.

Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятий, проводимых в республике.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства - всеми соавторами с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, телексов, телекомов.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 24 страниц машинописного текста, отпечатанных через два интервала. С левой стороны оставляются поля шириной 4 см.

Резюме, список использованной литературы, таблицы и подписи к рисункам исполняются на отдельных листах.

Объем кратких сообщений не должен превышать 7 страниц машинописного текста.

Статьи представляются в редакцию обязательно в двух экземплярах. Все страницы рукописи, включая литературу, должны быть пронумерованы.

4. Иллюстрации (в двух экземплярах) прилагаются к рукописи отдельно. Чертежи и графики должны быть выполнены четко, тушью на кальке или миллиметровой бумаге. Чертежи, выполненные карандашом, вычерченные в тексте или приkleенные к рукописи не принимаются. Необходимо тщательно следить за точным соответствием обозначений в тексте и на чертежах. Все надписи, загромождающие чертеж, должны быть заменены цифровыми или буквенными обозначениями, а объяснения к ним вынесены в подпись к рисунку.

5. На обороте каждой иллюстрации должны быть проставлены ее порядковый номер и фамилии авторов.

6. Формулы и обозначения должны быть вписаны от руки чернилами, свободно, четко, крупно; следует по возможности избегать субиндексов.

В начертании индексов следует четко отличать штрих и единицу от залятой.

Должно соблюдаться строгое различие между строчными (малыми) и прописными (большими) буквами, имеющими одинаковое начертание

и различающимися только своим размером: заглавные буквы подчеркиваются черточкой снизу (например, X).

Необходимо тщательно вписывать похожие одна на другую буквы (g и q, l и e, i и n и др.).

7. Литература приводится в конце статьи общим списком (в рецензиях, публикуемых в разделе "Критика и библиография", литература дается в подстрочных примечаниях) в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]).

Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титльному листу книги (журнала).

8. Редакция обращает внимание авторов на то, что подготовленный к набору машинописный текст статей и рисунки подписываются авторами "в печать" и корректура для просмотра, как правило, не высыпается.

9. В статье желательно указать, чем отличается предлагаемый результат от ранее известных.

10. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована одна статья автора или одно краткое сообщение.

11. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать автору один экземпляр.

12. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

გადაეცა წარმოებას 3.05.99. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.05.99. ქაღალდის ზომა 70 108 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდება ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4.5. სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 4.5. ტირაჟი 100; შეკვეთა N 106. ფასი სახელშეკრულები.

საწარმოო-საგამომცემლო  
გაერთიანება "მეცნიერება"  
გამრეკელის ქ. 19

10/79/2

სამუშაო  
განვითარების

## CONTENTS

<b>Tsereteli George, Natelauri Iza</b>	
Free Economic Zones and Possibilities of their Creation in Georgia	3
<b>Mnglakelidze Tamaz</b>	
The National Importance of Taxes	14
<b>Kuratashvili Alfred</b>	
Social-Economic Theory of the Future Truly Human Society	28
<b>Tsereteli George</b>	
A Problem of Economic-Mathematical Modelling of Efficient Use of Arable Lands	40
<b>Ananiashvili Iuri</b>	
Two Variants of the Back-Recursive Model of Forecasting of an Average Annual Growth Rates and Intersectoral Proportions	45
<b>Instruction to Authors</b>	63

გმი 7

vol. 7

TOM 7

N 1-2

1999

76196